140
1947

№ 4
აპრილი 1947

ჭიანჭველა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პ.ი.ო.ნ.ე.რ.ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

Пионери

Ежемесячный детский журнал
Центрального Комитета
ЛКСМ Грузии
(на грузинском языке)

წ ე ლ ი წ ა დ ი 21-ე
1947 წელი

№ 4

ა პ რ ი ლ ი

გამომცემლობა „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი“

რედაქციის მისამართი
ლენინის ქ., № 28, ტელეფონი № 3-81-85

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერცხლები

მოფრინდნენ მერცხლები, ჩვენი საყვარელი ჩიტუნები! კვლავ გაგვაგონეს მომხიბვლელი ჭიკჭიკი, გვახარეს გაზაფხული, რომელიც ადრეც გვაგრძნობინეს ენძელებმა და იებმა. მაინც მერცხლებს ველოდით. და, აი, მოფრინდნენ ეს საოცნებო ჩიტუნები და ყველაფერი მეტად გახალისდა. თითქოს მერცხლებს ელოდაო, ბუნებამაც მეტად იგრძნო გაზაფხულის ცხოველმყოფელი ძალა. ერთბაშად მწვანე ფარჩით მოირთო მთა და ბარი.

ველოდით და მოფრინდნენ მერცხლები, ჩვენი ჭიკჭიკა მერცხლები! ვინ იცის, რამდენი მთა, მინდორი და მდინარე გადმოლახეს, რამდენ ქალაქსა და სოფელს გადმოუფრინეს თავზე, რომ ვენახულეთ, რომ გავეხარებინეთ!

დიდი გასაჭირი შეხვდათ გზაში; ძლევდნენ ქარსა და წვიმას, ყოველგვარ ხიფათს და მოფრინავდნენ.

სამშობლოს სიყვარული მატებდათ ძალას და აჩქარებდათ ჩვენკენ.

უამინდობით რამდენიმე მეგობარი დაღუპვიათ გზაში, მაგრამ სამშობლოს ნახვით გამოწვეული სიხარული იმდენად ძლიერი აქვთ, რომ არც დაღლა ეტყობათ და არც დანაკლისი. მკვირცხლად მონახეს თავიანთი ბუდეები და ჩვენს ეზოებს ხალისი შემატეს.

ნოე ლაფნარელი

ნახატები გ. თაგორაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენც სამსახურს ვუწევთ ხუთწლედს

გურამ! როცა მუყაითობ,
კარგად იცი გაკვეთილი,
როცა სწავლით გულს გვიხარებ, —
შენც ხუთწლედში შეგაქვს წვლილი!

მერი! როცა ბატკნებს უვლი,
ჰკრეფ ხალისით ჩაის ფურცელს,
როცა მშობლებს ეხმარები, —
შენც სამსახურს უწევ ხუთწლედს!



ოთარ! როცა თოხნი სიმინდს
ან ვენახში მოჰკრეფ ყურძენს, —
შრომითა და ერთგულებით
შენც სამსახურს უწევ ხუთწლედს!

4338

ყმაწვილებო, ვიბეჯითოთ,
მეგობრობა გვქონდეს ტკბილი!
შრომითა და კარგი სწავლით
ჩვენც ხუთწლედში შეგვაქვს წვლილი!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“

გაგაუმჯობესოთ

რაზმეულების, რაზმების, რგოლების მუშაობა!

წელს 25 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც დაარსდა ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია.

„პიონერული მატიანის“ ფურცლებს რომ გადავიკითხავთ, თვალწინ გადაგვეშლება დიდი გზა, რომელიც პიონერთა ორგანიზაციამ გაიარა მეოთხედი საუკუნის მანძილზე. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იზრდებოდა, როგორ ძლიერდებოდა იგი კომუნისტური პარტიის, ლენინურ-სტალინური კომკავშირის, ჩვენი საბჭოთა მთავრობის მზრუნველობითა და სიყვარულით გარემოცული. ჩვენ ვხედავთ, თუ რა გულისხმიერად, მამობრივად ზრუნავს პიონერებისათვის საბჭოთა ბავშვების საუკეთესო მეგობარი — ამხანაგი სტალინი.

ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია ამჟამად უკვე მილიონობით მოწინავე საბჭოთა მოწაფეებს აერთიანებს. პიონერთა რაზმები ყველგან არის — დიდ ქალაქებშიც და პატარა სოფლებშიც.

როგორი უნდა იყოს პიონერი

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

ამ დადგენილებაში საკ. ალკკ ც. კ-ი აღნიშნავს, რომ დიდი სამამულო ომის წლების განმავლობაში და ომისშემდგომ დროს პიონერთა ორგანიზაციამ, პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობით, ცოტა წარმატებებს როდი მიაღწია. ომის მძიმე პირობებში ბავშვებს არ ავიწყდებოდათ თავიანთი მთავარი პიონერული ვალი: **კარგი სწავლა.** ყველას ახსოვს, თუ რა გმირულად სწავლობდნენ ლენინგრადელი ბავშვები, რომელნიც ბლოკადის უმძიმეს დღეებშიც კი არ სტოვებდნენ სკოლის მერხს. მტრის ზურგში, პარტიზანთა მიყრუებულ ტყიან რაიონებში, პიონერები აკურატულად დადიოდნენ თავიანთ სალაშქრო სკოლაში, რომელსაც ზოგჯერ სახურავიც კი არა ჰქონდა. ოკუპაციისაგან დაზარალებულ რაიონებში ბავშვები დიდებს ეხმარებოდნენ მტრის მიერ დანგრეული სასკოლო შენობების რემონტში, სათბობის დამზადებაში, აკეთებდნენ სასწავლო ხელსაწყოებს.

ომის წლებში ასიათასობით პიონერები შრომობდნენ ჩვენი ქვეყნის საკოლმეურნეო მინდვრებში, აგროვებდნენ ლითონის ჯართს სამხედრო ქარხნებისათვის, დაჭრილებს უვლიდნენ, ჰოსპიტლებში მორიგეობდნენ. პიონერებს სამშობლოს თავდაცვის ფონდში შეჰქონდათ თავიანთი დანაზოგი. ახლა, როგორ ისახელეს თავი ჩვენს ქვეყანაში თემურელმა პიონერებმა! ფრონტელთა ოჯახები მათ ისე ხვდებოდნენ, როგორც ძვირფას, სასურველ მეგობრებს.

შესწყდა ბრძოლის გრიალი სამამულო ომის ფრონტებზე. ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა, პიონერთა ორგანიზაცია მთელ თავის ძალ-ღონეს იმისკენ მიმართავს, რომ დაეხმაროს სკოლასა და მასწავლებელს—მტკიცე და ღრმა ცოდნა შეაძენინონ მოსწავლეებს, ჩაბან ბავშვები სამშობლოს საკეთილდღეო საზოგადოებრივ მუშაობაში, რამდენადაც შესწევთ მათ საამისო ძალა.

დიდია პიონერთა ორგანიზაციის მიღწევები, მაგრამ მაინც მის მუშაობაში ცოტა როდია სერიოზული ნაკლი, რაზედაც ნათქვამია საკ. ალკკ ც. კ-ის დადგენილებაში.

რა ნაკლოვანებებია ეს?

ძალიან ხშირად გვესმის ბავშვების ჩივილი, რომ რაზმში მოწყენილობაა, საინტერესო არაფერია. ხდება ხოლმე, რომ პიონერები ზედიზედ რამდენიმე საათს სხედან დახურული ოთახის შეხუთულ ჰაერში და დაუსრულებელ, მომქანცველ მოხსენებებს ისმენენ. ასეთ შეკრებაზე ერთხელ მიხვალ, მეორედ, და შემდეგ სურვილიც დაგეკარგება...

ან კიდევ შეადარეთ მეშვიდეკლასელთა და, მაგალითად, მესამეკლასის მოსწავლეთა პიონერული შეკრება. ზოგჯერ მათ ერთიმეორისაგან ვერ გაარჩევ: იგივე სხდომები, იგივე მოხსენებები, იგივე გამოსვლებია. მაგრამ განა ერთნაირი მისწრაფებები, ერთნაირი ინტერესები აქვთ უმცროსი და უფროსი ასაკის პიონერებს? ბევრ რაზმში მთელი მუშაობა მხოლოდ შეკრებით გამოიხატება, რგოლები კი არ მუშაობენ. ტექნიკის მოყვარულობა, სპორტი, სამხედრო თამაშობანი და ბევრი სხვა რამ, რაც ბავშვებს აინტერე-

სებთ, ადგილს ვერ პოულობენ ასეთი რაზმების საქმეებსა და გეგმებში.

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოითხოვს გადაჭრით გაუმჯობესდეს პიონერთა ორგანიზაციის მუშაობა. დაე, რგოლში, რაზმში გატარებული თითოეული დღე, თითოეული საათი აღსავსე იყოს ცოცხალი, წარმტაცი საქმეებით, დაე, დუღდეს და გადმოსჩქეფდეს პიონერული ინიციატივა, ბავშვთა დაუცხრომელი ენერგია!

დიდი ძალაა მეგობრული პიონერული ოჯახი! პიონერები ახალი, კომუნისტური საზოგადოების მომავალი შემოქმედნი და მშენებელნი არიან. ბავშვობიდანვე ემზადეთ ამ კეთილშობილი და დიადი მუშაობისათვის, გამოიმუშავეთ სოციალისტური დამოკიდებულება სწავლის, შრომისა და დისციპლინისადმი. იყავით მედგარნი სიძნელეთა გადალახვაში. სიზუსტე, გამბედაობა, მხნეობა, ფიზიკური ამტანობა, კოლექტივიზმის გრძნობა, უფროსთა პატივისცემა — აი ის თვისებები, რომლებიც უნდა ჰქონდეს თითოეულ პიონერს. თქვენ ყველანი ინიციატივიანი და ენერგიული უნდა იყოთ საზოგადოებრივ მუშაობაში. საკ. ალკკ ცკ-ი თითოეული პიონერისაგან მოითხოვს, რომ ის მოსწავლისათვის მაგალითი იყოს სწავლასა და დისციპლინაში, აქტიურად მუშაობდეს თავის ორგანიზაციაში, იცავდეს პიონერული ორგანიზაციის მიერ დადგენილ წესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ასე შეიძლება მოამზადო შენი თავი ლენინურ-სტალინური კომკავშირის რიგებში შესასვლელად. კომკავშირელად გახდომა კი დიდად საპატიოა ნორჩი პიონერისათვის. რაც უფრო იზრდება იგი, მით უფრო მეტად ოცნებობს ამ ბედნიერ დღეზე.

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში სპეციალური მითითებაა უფროს პიონერთა შესახებ: ჩააბან ისინი სკოლის კომკავშირის ორგანიზაციის აქტიურ მუშაობაში, მიიწვიონ ხოლმე კომკავშირის კრებებზე.

* * *

საკ. ალკკ ცკ-ი თავის დადგენილებაში არა მარტო აღნიშნავს, თუ რა ამოცანები დგას პიონერთა ორგანიზაციის წინაშე, არამედ გვასწავლის კიდევაც, თუ როგორ უნდა შესრულდეს ეს ამოცანები, რჩევას იძლევა, თუ როგორ უნდა იქნას აგებული მუშაობა რგოლებში, რაზმებსა და რაზმეულებში.

როგორ უნდა მუშაობდეს პიონერთა რგოლი

ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში წმინდა, ურყევი წესი არსებობს: კოლექტივში ცხოვრება, კოლექტივისათვის, ხალხისათვის მუშაობა. „საბჭოთა კავშირის პიონერთა სიმღერაში“ სწორედ ასეა ნათქვამი:

საბჭოთა ქვეყნის პიონერო! იმუშავე, ისწავლე და იცოცხლე ხალხისათვის.

რგოლი ყველაზე მცირე პიონერული კოლექტივია. მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი, რომ მცირედან დიდი შენდებაო. რგოლში, როგორც წვეთ წყალში, აისახება ყველა ის მრავალფეროვანი საქმიანობა, რითაც სულდგმულობს პიონერული ორგანიზაცია. ამ საქმის მეტ ნაწილს პიონერები ერთობლივ ასრულებენ, ერთმანეთს ეხმარებიან. ამიტომ რგოლი ყველაზე უფრო მჭიდროდ შეკავშირებული კოლექტივია.

რასაც უნდა აკეთებდეს პიონერი, აკეთებს, უპირველესად ყოვლისა, არა თავისთვის, არამედ კოლექტივისათვის. რგოლის ხელმძღვანელი, რომელიც თქვენ აირჩიეთ, რგოლისთვის მუშაობს. შენ რომ სიყვარულით აფორმებ ალბომს—შენც კოლექტივისათვის ცდილობ. შენს ამხანაგს რგოლმა დაავალა შეაკეთოს სპორტული ინვენტარი—ისიც მთელი რგოლისათვის ცდილობს.

თავის რგოლის ცხოვრებასა და შრომაში მონაწილეობა, ძალღონის შესაფერისი მუშაობის შესრულება, თავისი შრომით კოლექტივისათვის დახმარება თითოეული პიონერის წმინდა მოვალეობაა.

რგოლმა უნდა იზრუნოს, რომ არც ერთი პიონერი არ დარჩეს პიონერული დავალების გარეშე და თუ ვინმე დაავიწყდებათ კიდევაც, თვით პიონერის ვალია მოაგონოს ამის შესახებ, მოითხოვოს თავისთვის სამუშაო, ბოლოს, თითონ გამოიჩინოს ინიციატივა და გააკეთოს კოლექტივისათვის რამე, რაც საჭირო და სასარგებლოა.

თავისთავად ცხადია, რომ პიონერებს დავალებანი გონივრულად უნდა მიეცეთ. პატარებისათვის სხვა დავალებანი უნდა იყოს, უფროსებისათვის — სხვა; გოგონების ინტერესები შეიძლება სულ სხვა იყოს, ვიდრე ბიჭებისა; სოფლელი ბავშვების მოთხოვნილებანი ქალაქელთა ინტერესებისაგან განსხვავდებიან. დაე, თითოეულმა ის სამუშაო შეასრულოს, რაც მას ყველაზე უფრო მეტად ეხერხება, ყველაზე უფრო მეტად მოსწონს და შეეფერება მის მიდრეკილებასა და მისწრაფებას. მაშინ ის გულითაც იმუშავებს და სარგებლობაც მეტი იქნება.

რა უნდა აკეთოს რგოლმა? მისი მუშაობის სფერო მეტად ფართოა. დავასახელოთ თუნდაც ნაწილი პიონერული საქმეებისა, რომლებსაც უნდა ასრულებდეს რგოლი.

ექსკურსიები და ლაშქრობანი მშობლიური ადგილების შესასწავლად. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში ათასობით რგოლები მოგზაურობენ მშობლიურ მხარეში. აი ასეთ ექსკურსიაში უნდა მიიღოს მონაწილეობა ყველა პიონერმა, თუ შესაძლებელი იქნება, რამდენიმე მოგზაურობაც უნდა მოაწყოთ. ლაშქრობის დროს შეაგროვეთ მინერალების, მწერების, მცენარეების კოლექციები. გარდა იმისა, რომ თქვენ თითონ ბევრს ისიამოვნებთ და ახალ ცოდნას შეიძენთ, საუცხოო საჩუქარსაც მიუძღვნით თქვენს სკოლას.

გამოვიდა ახალი საინტერესო წიგნი. ეცადეთ იშოვნოთ ეს წიგნი და წაიკითხოთ რგოლის შეკრებაზე. თუ წიგნი დიდია—რამდენჯერმე შეიკრიბენით. რომ წაიკითხავთ, განიხილეთ, იკამათეთ, დაე, თითოეულმა თქვეთაგანმა გამოსთქვას თავისი აზრი. ასევე უნდა მოიქცეთ, თუ საბავშვო გაზეთში მოთავსებულია საყურადღებო წერილი.

ხშირ-ხშირად გამართეთ სპორტული შეჯიბრებანი. გახსოვდეთ: ყოველი პიონერი ფიზკულტურელი უნდა იყოს. პიონერებმა უნდა ისწავლონ რბენა, ხტომა, ბაგირზე ცოცვა, სხვადასხვა სპორტული თამაშობა. განა არ გინდათ, რომ თქვენმა მძლეოსნებმა, ფრენბურთელებმა, ქალაქობიას მოთამაშეებმა ასახელონ თქვენი რგოლი რაზმებისა და რაზმეულთა სპორტულ შეჯიბრებაში?

უმცროსკლასელების პიონერთა რგოლებში უმჯობესია მეტწილად საბავშვო თამაშობა ტარდებოდეს. 9-10 წლის გოგონებს შეუძლიათ თავი მოიყარონ ხოლმე რგოლში, რომ კაბები შეუკერონ დედოფლებს. ბიჭებს თავიანთ შეკრებაზე შეუძლიათ სხვადასხვა მანქანები შეადგინონ „კონსტრუქტორის“ ნაწილებისაგან ან, ვთქვათ, რაიმე თავსატეხი გამოიცნონ, განივითარონ მიხვედრილობა, მოსაზრებულობა. ასე უნდა შეუთავსდეს სასიამოვნო საქმე სასარგებლოს.

ბევრია ისეთი საქმე, რომელიც პიონერულ მარჯვე ხელს უცდის! საჭიროა სკოლის კარმიდამოს გამწვანება —ვინ მოჰკიდებს ხელს ამას?—პიონერები. საჭიროა სასპორტო მოედნის გამართვა—ვინ გააკეთებს ამას? —პიონერები. სკოლის ბიბლიოთეკის ბევრი წიგნი დაიფურცლა—ვინ მოუვლის ამ საქმეს?—პიონერები.

სწორედ რგოლში სწყდება მთელი პიონერული მუშაობის მთავარი წარმატება. მთელი რაზმის, მთელი რაზმეულის კარგი თუ ცუდი მუშაობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მუშაობს რგოლი.

როგორი უნდა იყოს რგოლის შეკრება? ეს შეკრება შეიძლება სულ სხვადასხვაგვარი იყოს. ყოველი საქმე, რომლის შესასრულებლადაც მოიყრიან თავს პიონერები, რგოლის შეკრებაა. ერთ შემთხვევაში ეს ქალაქგარეთ ლაშქრობა იქნება, მეორე შემთხვევაში—პიონერულ გაზეთში მოთავსებული წერილის ირწუთიანი კითხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგოლი მაშინ იკრიბება, როცა საჭიროა. ბევრი ისეთი საქმე, რომლისთვისაც საჭირო არ არის რგოლების შეკრება, მათი შესრულება ერთ, ორ, სამ პიონერს შეუძლია. ვთქვათ, რგოლი თემურელთა მუშაობას ეწევა. იმ ოჯახში, რომლისთვისაც ზრუნავენ ბავშვები, ისინი ყველანი ერთად კი არ წავლენ—თავიანთ ორ-სამ პიონერს გაჰგზავნიან.

პიონერები ყოველდღე ხვდებიან ერთმანეთს სკოლაში. ეს სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ ერთმანეთს უამბონ რგოლის დავალებათა შესრულებაზე, თავიანთი აზრი გაუზიარონ ახალ საქმეებზე, ერთმანეთს შორის გაინაწილონ ეს საქმეები. სულ სხვაა, როცა ლაპარაკია რაზმის შეკრებისათვის მზადებაზე. ექსკურსიასა ან ლაშქრობაზე, ერთობლივ სპორტულ მეცადინეობასა ან შეჯიბრებებზე, პარკში, მუზეუმსა და კინოში კოლექტიურად წასვლაზე. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში რგოლის ყველა პიონერი იკრიბება.

როგორ უნდა მუშაობდეს პიონერთა რაზმი

პიონერთა რაზმის მუშაობა უმთავრესად პიონერთა რგოლების მუშაობისაგან შესდგება. აქ განსაკუთრებით უნდა გამოიყოს რაზმის საბჭოს დიდი როლი; საბჭომ მარჯვედ უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა რგოლებს, დაეხმაროს მათ, აძლიოს ცალკეული დავალებანი, შეამოწმოს ამ დავალებათა შესრულება, შეკრებებზე აღნიშნოს საუკეთესო რგოლები, გააძლიეროს მათ შორის შეჯიბრების მისწრაფება.

როგორიღა უნდა იყოს რაზმის შეკრება? საკ. ალკ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია რაზმში:

პოპულარული საუბრებისა და მოხსენებათა ჩატარება ბოლშევიკურ პარტიაზე, დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინის ცხოვრებაზე, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოზე, კომკავშირსა და პიონერებზე;

რევოლუციური დღესასწაულებისადმი მიძღვნილი შეკრებების ჩატარება. ამ შეკრებებზე ცალკეულ რგოლებს შეუძლიათ გამოვიდნენ მხატვრული თვითშემოქმედების სპეციალურად მომზადებული თავიანთი პროგრამით;

კინოფილმის ან სპექტაკლის კოლექტიური ნახვა და მათი განხილვა, მუზეუმებისა და გამოფენების კოლექტიური დათვალიერება;

სხვადასხვა ლაშქრობის ჩატარება მშობლიური მხარის შესასწავლად, ტურისტულ ჩვევებში გასაწაფად, სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად, სათხილამურო ლაშქრობათა მოწყობა და ა. შ.

რაზმი აწყობს სხვადასხვა შეჯიბრებას რგოლებს შორის, ატარებს მათი მუშაობის დათვალიერებას, უშვებს რაზმის კედლის გაზეთს. რაზმის შეკრებაზე იხილავენ რაზმის სამუშაო გეგმებს, რაზმის შეკრებათა თემებსა და გეგმებს, მოსწავლეთა განცხადებებს პიონერად მათი მიღების შესახებ, ხოლო უფროსი კლასების რაზმებში — პიონერების განცხადებებს კომკავშირში შესასვლელად მათთვის რეკომენდაციის მიცემის შესახებ.

რაზმის შეკრება დაახლოებით თვეში ერთხელ ტარდება.

როგორ უნდა მუშაობდეს პიონერთა რაზმეული

პიონერთა რაზმეული, რომელიც რაზმების მთელ ჯგუფს აერთიანებს, უკვე დიდი ორგანიზაციაა, მას ძალა შესწევს დიდი საქმეები შეასრულოს. მაგალითად, ბევრ სკოლაში პიონერთა რაზმეულებმა დამოუკიდებლად გაამწვანეს სკოლის კარმიდამოები, მოაწყეს სპორტული მოედნები.

პიონერთა რაზმეულის საბჭომ უფროსი პიონერხელმძღვანელის ხელმძღვანელობით ისე უნდა მოაწყოს თავისი მუშაობა, ისე უნდა გაუწიოს რაზმებს ხელმძღვანელობა, რომ მათ შორის მუდამ სუფევდეს შეჯიბრების სულისკვეთება, საუკეთესო შედეგების მიღწევისადმი მისწრაფება.

რაზმეულის საბჭოს ამოცანაა შეისწავლოს საუკეთესო რაზმებისა და რგოლების გამოცდილება, გადასცეს სხვებს ეს გამოცდილება, დაეხმაროს რაზმებს, რომლებიც რაიმე ახალ საქმეს იწყებენ.

რაზმეულის შეკრება დაახლოებით 2-3 თვეში ერთხელ უნდა ტარდებოდეს. ასეთი შეკრება დიდი დღესასწაულია პიონერორგანიზაციისათვის. რაზმის მიერ ახლად მიღებული პიონერები რაზმეულის შეკრებაზე ნორჩი პიონერის საზეიმო დაპირებას იძლევიან. რაზმეულის შეკრებაზე ეწყობა ყველა პიონერრაზმის მუშაობის სხვადასხვა დათვალიერება: მხატვრული თვითშემოქმედების ჩვენება, ფიზკულტურული შეჯიბრება, საუკეთესო სპორტული გუნდების ფინალური შეხვედრები, პიონერების თვითნაკეთობათა, ნახატების, რაზმეულის კედლის გაზეთების და სხვა გამოფენები.

რაზმეულში ტარდება რევოლუციური დღესასწაულებისადმი მიძღვნილი შეკრებანი. პიონერთა რაზმეულის სარედაქციო კოლეგია რეგულარულად უშვებს კედლის გაზეთს.

პიონერთა ინტერესები მრავალფეროვანია, და რაზმს და, მით უმეტეს, რგოლს ყოველთვის არ შეუძლია დაკმაყოფილოს ყველა მათი მისწრაფება და მოთხოვნილება. ამიტომ პიონერთა რაზმეულებთან საჭიროა მოეწყოს ნორჩ ტექნიკოსთა, რადიომოყვარულთა, ავიამოდელისტთა, ნორჩ ნატურალისტთა, წიგნის მეგობართა, სპორტული, მხატვრული თვითშემოქმედებისა და სხვა წრეები. წრეებში მუშაობა ხელს არ უნდა უშლიდეს სწავლას. საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ თუ სწავლაში პიონერის წარმატება კლებულობს და თუ სასწავლო მეოთხედში პიონერი არადამაკმაყოფილებელ ნიშნებს მიიღებს ძირითად საგნებში, იგი დროებით უნდა განთავისუფლდეს წრეში მუშაობისაგან მანამდე, სანამ არ გამოისწორებს ნიშნებს.

სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებანი პიონერთა ორგანიზაციას უნდა ეხმარებოდნენ

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ, ყველა სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულება — პიონერთა სასახლეები, ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ ტურისტთა, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები, საბავშვო კლუბები, პარკები, სტადიონები—ვალდებული არიან დაეხმარონ რაზმეულებსა და რაზმებს მუშაობაში. თითოეულ ასეთ დაწესებულებასთან იქმნება აქტივის საბჭო. საბჭოს ირჩევენ ამ დაწესებულებებში მუდმივ მოსიარულე ბავშვთა საერთო კრებაზე. აქტივის საბჭომ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ პიონერთა სასახლეების, ბავშვთა სადგურების, კლუბების, სტადიონების წრეები, ლაბორატორიები და სახელოსნოები რაზმეულებსა და რაზმებს ეხმარებოდნენ პიონერინსტრუქტორების, სხვადასხვა პიონერული საქმის მარჯვე ორგანიზატორების მომზადებაში.

პიონერთა რაზმეულების მიღწევათა დათვალიერება

პიონერებს დიდი ხნიდანვე წესად აქვთ: ეცადონ მხარში ამოუდგნენ საუკეთესოებს. და როცა პიონერები თავს იყრიან სარაიონო, საქალაქო, საოლქო შეკრებებზე, ეს დიდი სადღესასწაულო მოვლენაა პიონერთა ორგანიზაციის ცხოვრებაში, იმიტომ რომ ეს შეკრება პიონერთა მიღწევების დათვალიერებაა. ამ შეკრების დროს აჩვენებენ ისინი საუკეთესოს, რაც კი გაუკეთებიათ რგოლებს, რაზმებს, რაზმეულებს—თავიანთ წარმატებებს. ასე გადადის რაზმიდან რაზმში პიონერული მუშაობის გამოცდილება.

საკ. ალკკ ც. კ-მა დაადგინა, რომ საბჭოთა კავშირის ყველა რაიონსა და ქალაქში ყოველწლიურად მოეწყოს სარაიონო და საქალაქო საანგარიშო შეკრება — პიონერთა რაზმეულების მიღწევათა დათვალიერება. ამ შეკრებაზე წარმოდგენილი უნდა იყოს რაზმების მხატვრული თვითშემოქმედების საუკეთესო ნიმუშები, გაიმართოს რაზმეულების სპორტული შეჯიბრებანი, ბავშვების მიერ შესრულებული ნახატებისა და ტექნიკური მოდელების გამოფენები.

მშობლიურ მხარეში ნორჩ პიონერთა მოგზაურობის დამთავრების შემდეგ საკ. ალკკ ც. კ-ში ყოველწლიურად ჩატარდება შეკრება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ის პიონერები, რომელნიც თავს ისახელებენ ლაშქრობაში.

გადაწყვეტილია ყოველწლიურად მოეწყოს ბავშვთა სახვითი ხელოვნების საკავშირო გამოფენა, რომელზედაც ნაჩვენები იქნება ბავშვთა საუკეთესო ნამუშევრები ფერწერის, ქანდაკების, მხატვრული ქარგვის, ხეზე და ლითონზე ამოჭრის და სხვ. დარგებში.

ყოველწლიურად ჩატარდება ნორჩ პიონერთა საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება სროლაში, აგრეთვე ნორჩ ავიამოდელისტთა საკავშირო შეჯიბრებანი. ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში, რეგულარულად ჩატარდება პიონერთა სხვადასხვა შეჯიბრება შაშში, ჭადრაკში, ავიამოდელების დამზადებაში და სხვ.

ნორჩ პიონერთა საბჭოები

პიონერთა ყველა არსებული სარაიონო, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური შტაბი ა/წ. 1 მაისიდან ნორჩ პიონერთა შესაბამ საბჭოებად გარდაიქმნება და მათ დაერქმევა: „ნორჩ პიონერთა სარაიონო საბჭო“, „ნორჩ პიონერთა საქალაქო საბჭო“, „ნორჩ პიონერთა საოლქო საბჭო“, „ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭო“. ნორჩ პიონერთა სარაიონო (საქალაქო) საბჭოს თავმჯდომარედ იქნება საკ. ალკკ რაიკომის (ქალაქკომის) პიონერთა განყოფილების გამგე; ნორჩ პიონერთა საოლქო (აგრეთვე სამხარეო და რესპუბლიკური) საბჭოს თავმჯდომარედ—კომიტეტის მდივანი სკოლის დარგში.

ისევე როგორც რაზმის საბჭო უწევს ხელმძღვანელობას რგოლის მუშაობას, ხოლო რაზმეულის საბჭო—სკოლის პიონერრაზმების მუშაობას, ნორჩ პიონერთა საბჭოები ხელმძღვანელობას გაუწევენ პიონერთა სარაიონო, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ორგანიზაციებს. ნორჩ პიონერთა საბჭო სულ მცირე თვეში ერთხელ შეიკრიბება და განიხილავს რაზმეულების პიონერული მუშაობის ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

ნორჩ პიონერთა საბჭოები შესდგებიან კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლების, პიონერხელმძღვანელების, მეცნიერების და ხელოვნების მოღვაწეთა, მწერლებისა და მასწავლებლებისაგან.

ნორჩ პიონერთა საპარადო ფორმა

პიონერები ხშირად გვეკითხებიან: საჭიროა თუ არა მუდამ ვატაროთ პიონერული ნიშანი და პიონერული ყელსახვევი?

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ნათელ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე. ნორჩმა პიონერებმა ნიშანი **მუდამ** უნდა ატარონ, რა ტანსაცმელიც უნდა ეცვათ, ხოლო რაზმეულების, რაზმებისა და რგოლების შეკრებაზე და პიონერთა თავმოყრაზე, მარშებზე, გასეირნებაზე უსათუოდ უნდა ჰქონდეთ გაკეთებული პიონერული ყელსახვევი და ეცვათ საპარადო ფორმა: თეთრი ხალათი (ზედატანი), შავი ან ლურჯი შარვალი (ქვედატანი). მაგრამ პიონერებს თავიანთი ყელსახვევი შეუძლიათ სურვილისამებრ ატარონ ჩვეულებრივ დღესაც (უფორმოდ).

რგოლის ხელმძღვანელები, რაზმის საბჭოს და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეები და წევრები მუდამ ატარებენ პიონერ აქტივისტთა განმასხვავებელ ნიშნებს—მარცხენა სახელოზე, იდაყვს ზემოთ.

წითელი პიონერული დროშა

1947 წლის 1 ივნისიდან შემოღებულ იქნება წითელი პიონერული დროშები პიონერთა სარაიონო და საქალაქო ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე პიონერთა რაზმეულებისათვის.

პიონერთა სარაიონო (ან საქალაქო) ორგანიზაციის დროშის ზომაა 90×120 სანტიმეტრზე. დროშის გარეთა პირზე, ცენტრში, გამოსახულია პიონერული ნიშანი და ნორჩ პიონერთა დევიზი: „ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“ დროშის შიდა პირზე აღინიშნება პიონერთა სარაიონო (საქალაქო) ორგანიზაციის დასახელება. მაგალითად: „კუნცევოს რაიონის პიონერთა ორგანიზაცია“ ან „ქ. იაროსლავლის პიონერთა ორგანიზაცია“. დროშა ნორჩ პიონერთა სარაიონო (საქალაქო) საბჭოში ინახება.

პიონერთა რაზმეულის წითელი დროშის ზომაა 60×80 სანტიმეტრზე. გარეთა პირზე, ცენტრში, გამოსახულია პიონერული ნიშანი და ნორჩ პიონერთა დევიზი: „ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავ მზად!“ დროშის შიდა პირზე აღინიშნება რაზმეულის ნომერი, რაიონის (ან ქალაქის) დასახელება და სახელი, რომელსაც ატარებს რაზმეული. მაგალითად: „მოსკოვის კრასნაია პრესნიას რაიონის მ. ი. კალინინის სახელობის მე-17 რაზმეული“ ან „ალექსანდროვის რაიონის ჩკალოვის სახელობის მე-2 რაზმეული“. დროშა ინახება სკოლაში, რაზმეულის პიონერთა ოთახში.

რაზმებში პიონერული დროშები არ იქნება. თითოეულ რაზმს წითელი პიონერული ბაირაღი ექნება. რაზმის ბაირაღის ფორმაა 30 და 60 სანტიმეტრი სიგრძის გვერდების მქონე მართკუთხა სამკუთხედი. ბაირაღი დამაგრებულია 1—1,5 მეტრი სიმაღლის და 2,5—3 სანტიმეტრი დიამეტრის ტარზე. ბაირაღზე უნდა ეწეროს ან ამოქარგული იყოს რაზმის ნომერი.

რაზმის ბაირაღი პიონერთა ოთახში ინახება რაზმეულის დროშასთან ერთად.

***

საკ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი დადგენილებით დაავალა ყველა კომკავშირულ ორგანიზაციას გააუმჯობესოს პიონერული მუშაობისადმი ხელმძღვანელობა, უფრო მეტი დახმარება გაუწიოს პიონერთა რაზმეულებს, პიონერხელმძღვანელებს, მოაწყოს პიონერულ მუშაკთა მომზადება და გადამზადება.

სკოლების კომკავშირულ ორგანიზაციებსა და უფროს პიონერხელმძღვანელებს ევალებათ მასწავლებლებთან ერთად ჩაატარონ მეცადინეობა პიონერთა აქტივთან—რგოლის ხელმძღვანელებთან, რაზმის საბჭოების თავმჯდომარეებსა და წევრებთან.

კალე ბოგოხიძე

პიონერული სიმღერა სამშობლოზე

ჩვენო ტურფა ქვეყანავ, გამკობს ია და ვარდი,
ვინ არის რომ მოწყინდეს შენი ცის ქვეშ ნავარდი!
თავს ვევლები შენს იერს, მზით ანთებულს, ელვარეს.
შენ გიმღერის, მშვენიერს, ჩემი გული მღელვარე!
ძლიერო და ლამაზო, საყვარელო მხარეო,
მშვენიერო, ალმასო, დატკბი, გაიხარეო!
შენი დროშა ნათელი ბრწყინავს, ლალის ფერია,
შენ დაგნათის სტალინი, თავს გევლება ბერია!

ეარლამ ჭურული

გაზაფხული

გარეთ გამო, მშვენიერი დღეა,
ხაროობს ია ნაზ კოკორის გაშლით.
თაიგულად ბაღში თვითონ ხეა,
ხე — ჩასმული გაზაფხულის ყდაში...
გარეთ გამო, მშვენიერი დღეა.

* * *

ახლა შტოზე ფოთლის მეტი რა ჩანს!
ნარჩიტებმაც „წიავ-წიავ" დასცხეს,
გადაუცვამთ უმწვანესი ფარჩა
პიონერთა სასახლის წინ ცაცხვებს...
ახლა შტოზე ფოთლის მეტი რა ჩანს!

* * *

სანეტარო დრო დაუდგა ბულბულს,
ართობს ლამაზ ყვავილებზე სტვენა,
კვლავ უგალობს თვალქუჟუნა სუმბულს,
ესმის ვარდის საიდუმლო ენა...
სანეტარო დრო დაუდგა ბულბულს.

* * *

მეც სიმღერა ჩამაგონე ტკბილი,
გაზაფხულის დახატულო მხარევ!
დღე ისეთი კარგია და თბილი,
მზე სხივებით გამოგიყვანს გარეთ.
მეც სიმღერა ჩამაგონე ტკბილი!

ლენინის სიჭაბუკე

(ეპიზოდი ბიოგრაფიიდან)

ულიანოვებს ძლიერ უყვარდათ შვილები. შვილებიც ასევე სიყვარულით უპასუხებდნენ მათ. „ვერაფრით ვერ გავახარებდით მამას ისე, როგორც ჩვენი წარმატებებით, — იგონებდა ანა ილიას-ასული.—უნდა გენახათ, რა სიამოვნებით იღიმებოდნენ დედა და მამა, როცა გიმნაზიიდან დაბრუნებული ვალოდია მამის კაბინეტთან გავლისას უპატაკებდა: ბერძნულში — ხუთი, გერმანულში — ხუთი...“

— ცუდი ბავშვები არა მყავს, — თქვა ერთხელ ილია ნიკოლოზის-ძემ, — მაგრამ ყოველი წყვილი მკვეთრად განირჩევა დანარჩენებისაგან. პირველი წყვილია ალექსანდრე და ანა. ისინი უნარიანი და ნიჭიერები არიან. მომავალში ღირსეული ადამიანები გახდებიან. მეორე წყვილი — ვლადიმერი და ოლღა — შეიძლება ითქვას, უფროსებზე უკეთესები იქნებიან და უფრო შორს წავლენ. მესამე წყვილი — დიმიტრი და მარიამი — საკმაოდ ნიჭიერნი არიან, მაგრამ ჯერ კიდევ რაიმე გარკვეულის თქმა მათზე არ შეიძლება...

ვალოდიას ოთახის გვერდით საშას ოთახი იყო, სადაც მაგიდაზე საშას წიგნები ეწყო. იგი მათ კითხულობდა სახლში უკანასკნელად ყოფნისას. აქ ნახავდით დარვინის „სახეთა წარმოშობას“, მენდელეევის „ქიმიის საფუძვლებს“, მარქსის „კაპიტალის“ პირველ ტომს..

ფურცლავდა ამ წიგნებს ვალოდია, აკვირდებოდა ძმის მიერ ხაზგასმულ სტრიქონებს. ბავშვობიდანვე განსაკუთრებით უყვარდა მას უფროსი ძმა, საშასგან მიიღო მან მარქსის წიგნი და იმ ზამთარს პირველად შეუდგა გენიალური ფურცლების კითხვას.

1887 წლის მარტში მასწავლებელმა ქალმა ვ. კაშკოდომოვამ პეტერბურგიდან მიიღო წერილი, რომელიც გამოეგზავნა ლენინის დედის მარიამ ალექსანდრეს-ასულის ნათესავ ქალს, მწერალ პესკოვსკის მეუღლეს. იგი იწერებოდა, იმპერატორ ალექსანდრე მესამეზე თავდასხმაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებულია ალექსანდრე ულიანოვიო. დაპატიმრებული იყო აგრეთვე ანა ილიას-ასული. პესკოვსკაია სთხოვდა კაშკოდომოვას, რომ ეს ეცნობებინა მარია ალექსანდრეს- ასულისათვის (ილია ნიკოლოზის-ძე ულიანოვი ერთი წლის წინათ, 1886 წელს, გარდაიცვალა), მაგრამ წინასწარ მოემზადებინა იგი ამისათვის. „მეშინოდა გაუფრთხილებელი სიტყვით არ შემეშინებინა მარია ალექსანდრეს-ასული, — იგონებს ვ. კაშკოდომოვა. — გადავწყვიტე წინასწარ მოვთათბირებოდი ვალოდიას...

გამოვუძახე მას გიმნაზიიდან და გადავეცი წერილი, თანაც შევეხვეწე წინასწარ მოემზადებინა დედა. მან წერილი წაიკითხა და ღრმად ჩაფიქრებულმა თქვა: „ჰოო... საქმე სერიოზულია“ და წავიდა. რამდენიმე საათის შემდეგ ჩემთან მტკიცე ნაბიჯით შემოვიდა გაფითრებული, მაგრამ დამშვიდებული მარია ალექსანდრეს-ასული და მხოლოდ ერთი სიტყვა მითხრა:

— წერილი!

ყურადღებით წაიკითხა წერილი, სახის არც ერთი კუნთი არ შერხეულა. თქვა:

— დღესვე მივდივარ პეტერბურგს. ბავშვებს მიმიხედეთ.

ეს მძიმე დღეები იყო ვალოდიასათვის. გულს უკუმშავდა შიში ძმის მომავალი ბედის შესახებ. ამავე დროს იგი გამალებით ემზადებოდა გამოსაშვები გამოცდებისათვის. იგი ისე უნდა მომზადებულიყო, რომ უსათუოდ მიეღო ოქროს მედალი, წინააღმდეგ შემთხვევაში ულიანოვის ოჯახის წევრისათვის უნივერსიტეტის ყველა კარი დახშული იქნებოდა.

1887 წლის 22 აპრილს ვალოდიას 17 წელი შეუსრულდა, ხოლო ერთი თვის შემდეგ პეტრე-პავლეს ციხეში სისრულეში მოიყვანეს სასიკვდილო განაჩენი ალექსანდრე მესამეზე თავდასხმის მონაწილეთა მიმართ. მათ შორის იყო ლენინის ძმა ალექსანდრე ულიანოვი.

სიმბირსკში ჩამოიტანეს გაზეთი, რომელშიც დაბეჭდილი იყო მომხდარი ტრაგიკული ამბავი. ოთახში თავმოყრილ ოჯახის წევრებთან ვალოდიამ ხმამაღლა წაიკითხა ეს ცნობა. მან თქვა მკაცრად და მტკიცედ, როგორც ადამიანმა, რომელმაც ყველაფერი წინასწარ განჭვრიტა და მივიდა ურყევ საბოლოო გადაწყვეტილებამდე:

— არა, ჩვენ წავალთ არა ასეთი გზით! ასეთი გზით არ უნდა ვიაროთ!

ლენინი თავიდანვე წინააღმდეგი იყო ინდივიდუალური ტერორისა, მას სწამდა მასობრივი რევოლუციური ბრძოლა.

ქალაქში ყველა ბოძზე გაკრული იყო ცნობა „მეფის მკვლელთა“ სიკვდილით დასჯის შესახებ. გიმნაზიის უფროსებმა ალმაცერად დაუწყეს ცქერა ვლადიმერ ულიანოვს, ხოლო მდიდარი ოჯახიდან გამოსული გიმნაზიელები ყოველმხრივ ცდილობდნენ კბილი გაეკრათ, დაემცირებინათ „მეფის მკვლელის“

ძმა. ვლადიმერი დუმდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო მისთვის არ მიეცათ ოქროს მედალი ან მიეცათ უარყოფითი დახასიათება, რაც ხელს შეუშლიდა უნივერსიტეტში შესასვლელად.

ვლადიმერი დუმდა, მაგრამ ბევრს ფიქრობდა, ბევრს კითხულობდა. იმ თვეებში იგი ერთბაშად გამოიცვალა: აღარ ხუმრობდა, იშვიათად იცინოდა. ჭაბუკი მოზრდილი ადამიანი გახდა.

ვლადიმერ ულიანოვი გიმნაზიელი

სიკვდილით დასჯილი რევოლუციონერის ძმას ფიქრიც არ შეეძლო დედაქალაქის უნივერსიტეტში შესვლაზე. პროვინციულ ქალაქებს შორის ვლადიმერ ულიანოვმა ყაზანი აირჩია. იგი მიღებულ იქნა იურიდიულ ფაკულტეტზე. მაგრამ დიდხანს არ უსწავლია აქ. 1887 წლის 4 დეკემბერს ყაზანის გაზეთებში დაბეჭდილი იყო ცნობა მოსკოვის უნივერსიტეტში მომხდარი არეულობის შესახებ. იმავე დღეს ყაზანელი სტუდენტები სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ და რექტორს თავიანთი მოთხოვნები წარუდგინეს. კრების აქტიურ მონაწილეთა შორის იყო ახალგაზრდა სტუდენტი ვლადიმერ ულიანოვი.

ყაზანის სასწავლო ოლქის მზრუნველმა საბალხო განათლების დეპარტამენტს აცნობა, რომ ვლადიმერ ულიანოვი „...ჯერ კიდევ კრებამდე ორი დღით ადრე საბაბს იძლეოდა ეჭვი შეგვპაროდა იმაში, რომ ცუდი ამბისათვის ემზადებოდა... 4 დეკემბერს კი სააქტო დარბაზში პირველ ჯგუფთან ერთად შეიჭრა და პოლიანსკისთან ერთად ყვირილითა და ხელების ქნევით დარბოდა მეორე სართულის დერეფანში და ამით ამხნევებდა სხვებს...“

სტუდენტებს შორის, რომლებიც თავშეყრაში მონაწილეობდნენ, ვლადიმერ ილიას-ძე ყველაზე ახალგაზრდა იყო. პირველკურსელი მხოლოდ სამი იყო. როგორც ჩანს, ვლადიმერ ილიას-ძე შეგნებულად ეძებდა უფროს სტუდენტებს შორის რევოლუციურად განწყობილ ამხანაგებს.

კრების შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძე პირველად იქნა დაპატიმრებული. მარია ალექსანდრეს-ასული პოლიციაში გამოიძახეს.

— კარგი შვილები აღგიზრდიათ, თქმა არ უნდა,— დაცინვით მიმართა მას ბოქაულმა.—ერთი ჩამოახრჩეს, ახლა მეორესაც თოკი ელოდება.

— მე ვამაყობ ჩემი შვილებით! — პირში მიახალა პოლიციელს მარია ალექსანდრეს ასულმა.

რამდენიმე დღის შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძე საპოლიციო ეტლით ციხეში მიჰყავდათ; თანმხლები პოლიციელი დარიგების ტონით ეუბნებოდა:

— რა გაჯანყებთ, ახალგაზრდავ? ხომ ხედავთ, თქვენ წინ კედელია! პოლიციელს დაუძლეველ კედლად მიაჩნდა თვითმპყრობელობა.

— კედელი კი არის, მაგრამ ძირმომპალია. თითსა ჰკრავ და დაინგრევა, — ამაყად და გაბედულად უპასუხა ვლადიმერ ულიანოვმა.

მხურვალე, ურყევი რწმენა დიადი საქმის გამარჯვებისადმი,—აი რა იგრძნობა მშრომელთა მომავალი მასწავლებლისა და ბელადის, 17 წლის ლენინის ამ პასუხში.

ვლადიმერ სულაბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაშლის ხის ნერგი



მზიამ დარგო ამასწინათ
ვაშლის ნერგი პაწაწინა,
მერე ფრთხილად შემოღობა
და შეჰფიცა მეგობრობა.

ჯერ სუსტი აქვს ნერგს ტოტები
და კვირტებსაც ახლა ისხამს,
გაზაფხულის სითბო იგრძნო,
შეიშმუშნა, წახალისდა.

პატარაა ჯერ და მალე
ფესვს გაიდგამს უფრო ღრმადაც,
თქვენ გაისად ნახეთ, შტოებს
როგორ მაღლა წამომართავს.

გაიზრდება ნელა-ნელა,
მზიაც მასთან ითამაშებს,
ბოლოს უხვად გამოისხამს
ღაჟღაჟა და წითელ ვაშლებს.

მზიას დედის სიხარული,
აბა, მაშინ უნდა ნახოთ,
როცა მზია შესთავაზებს
ამ პატარა ნერგის ნაყოფს.

მიხეილ კეკელიძე

მეგობრები

ნახატები პ. გიგოლაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

ჩვენი ქალაქის ერთ ფართო ქუჩაზე ვაჟთა საშუალო სკოლის დიდი შენობა დგას. სკოლას ფართო ეზო აქვს, სუფთა და მიმზიდველი. გაკვეთილებს შორის შესვენებისას ბავშვების თამაშობა და სიმღერა ეზოს ყოველ კუნჭულს აცოცხლებს.

იმ დღესაც, დიდი დასვენების დროს, მოსწავლეები ჩვეულებრივად ერთობოდნენ ეზოში. ერთ ადგილას პირველკლასელებს მაგრად ჩაეჭიდათ ხელები მასწავლებლისათვის და წრე შეეკრათ, კატა-თაგვობიას თამაშობდნენ. პატარებს სახე დასწითლებოდათ და მერცხლებივით ჟღურტულებდნენ.

მორიგე მასწავლებელმა ნიკო ზვიადაურმა მათ გვერდით ჩაუარა, რამდენიმე ბიჭუნას თავზე ხელი გადაუსვა და შემდეგ თვალიერება დაუწყო თავისი კლასის მოსწავლეებს. დიდ ცაცხვთან მან შენიშნა განმარტოებით მყოფი სამი ყმაწვილი. ნიკო ზვიადაურს გაეღიმა და გულში გაიფიქრა:

— აი, ჩემი ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი... განუყრელი მეგობრები არიან ეს მოსწავლეები. უერთმანეთოდ ვერ სძლებენ.

მართლაც, განუშორებელი მეგობრები იყვნენ ზაზა, დავითი და ვახტანგი. ხუმრობა ხომ არ არის შვიდ წელიწადს ერთად სწავლა, სკოლაში ერთად სიარული, ათასნაირი შემთხვევა და შთაბეჭდილებებით სავსე თავგადასავალი?!

ნაფიქრსა და ნააზრევს ერთმანეთს არ უმალავდნენ, კინოსურათის ან რომელიმე პიესის სანახავად ერთად დადიოდნენ. ყმაწვილებს ერთმანეთი უყვარდათ და კარგ მეგობრებად ითვლებოდნენ.

კლასში დავითი მარცხენა მხარეს იჯდა. მარჯვნივ კი, მეხუთე მერხზე, ვახტანგის ადგილი იყო. მის წინ ზაზა იმყოფებოდა. ბავშვები კარგად სწავლობდნენ. კლასის ხელმძღვანელი ნიკო ზვიადაური გულისხმიერად ეპყრობოდა ყმაწვილებს და როცა ერთად მიმავალთ დაინახავდა, სიამოვნებით ამბობდა:

— მეგობრობა იციან ამ ბავშვებმა, მეგობრობა! ეს პატარა საქმე როდია. მეგობრულმა გრძნობამ ქაჯეთის ციხე დაამსხვრია. კარგია, როცა ამ გრძნობას ბავშვობიდანვე ეყრება საფუძველი.

ასე ფიქრობდა მასწავლებელი, მაგრამ ამ ბოლო დროს ზაზამ და დავითმა შეამჩნიეს, რომ ვახტანგი მათთან ყოველთვის გულგახსნილი არ იყო.

* * *

ერთხელ, დასვენების დღეს, ზაზა და დავითი ვახტანგს ესტუმრნენ. დერეფანში შესვლისას მათ მოესმათ ვახტანგის დედის—მარიამის ხმამაღალი ლაპარაკი. მარიამი გაჯავრებული იყო.

— მე შენ გეუბნები, მაგ ბურთს თავი გაანებე! ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჯერ გაკვეთილები მოამზადე და შემდეგ ითამაშე! აი, ვეტყვი მამაშენს ამ ამბავს და, ვნახოთ, რა პასუხს გასცემ!

— ბურთს ყველა თამაშობს, დედა! შენ რატომ ბრაზობ, მე რომ ვითამაშე?!—მოისმა პასუხად ვახტანგის ხმა.—გაკვეთილები დამზადებული მაქვს; მართალია, ალგებრაში დამრჩა რამდენიმე მაგალითი გამოსაყვანი, მაგრამ იმას დილით გავაკეთებ, ძნელი არ არის.

დავითმა კარებთან ჩაახველა. ზაზამ გაუბედავად დააკაკუნა. მარიამი გარეთ გამოვიდა და შვილის მეგობრები ოთახში მიიწვია.

— აი, შეხედეთ თქვენს ამხანაგს, რასა ჰგავს!—განაგრძო მარიამმა შვილის საყვედური და მიუთითა ვახტანგზე, რომელიც მაგიდასთან იდგა და ძირგავარდნილ ფეხსაცმელს მალავდა.—ეს ერთი კვირაა ბურთის თამაშის მეტს არაფერს აკეთებს.

ზაზამ და დავითმა უხერხულობა იგრძნეს, ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს.

საუბარში გამოირკვა, რომ ვახტანგს მეზობლის ბიჭებისაგან შეუდგენია ფეხბურთელთა გუნდი—„არაგვი“, რომელსაც დღეს ქალაქგარეთ პირველი შეჯიბრება ჰქონია მორე უბნის გუნდთან, მაგრამ „არაგვს“ მშრალი ანგარიშით 4:0-ით წაუგია.

— როგორ მოხდა, ვახტანგ, რომ შენი გუნდის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით?! — წყენით თქვა დავითმა.

ვახტანგს შერცხვა და თავი დახარა.

— გუნდის ჩამოყალიბების შესახებ არაფერი გითხარით, ვიფიქრე: არ ვიცი, როგორ მიიღებენ ჩემს მოქმედებას ზაზა და დავითი, იქნებ კიდეც დამცინონ-თქო... შემთხ-

ვევას ვუცდიდი, შეიძლება მალე თქვენც მეტად დაინტერესებულიყავით ფეხბურთით!

— მაინც არ გეპატიება ეს გულჩათხრობა. ჩვენ შორის ჯერ ხომ არაფერი ყოფილა დაფარული!—თქვა ზაზამ.

დავითი და ზაზა ძლიერ ნაწყენი იყვნენ ვახტანგის მოქმედებით; უნდოდათ მეტი საყვედური ეთქვათ მისთვის, მაგრამ თავი შეიკავეს.

ეს პირველი წყენა იყო მათ მეგობრულ ურთიერთობაში.

— იცი, რა გითხრა, ვახტანგ,—შეცვალა საუბრის თემა დავითმა,—ჩვენ შენთან ფეხბურთზე სალაპარაკოდ არ მოვსულვართ, თუ გინდა, ამ საღამოს კლუბში წავიდეთ. პროფესორი სამყაროს აგებულების შესახებ საინტერესო ლექციას კითხულობს. ჩვენი კლასის ხელმძღვანელიც დაესწრება.

ვახტანგი დაფიქრდა.

— რას ფიქრობ, შვილო, ლექციაზე როგორ არ წახვალ,—უთხრა შვილს მარიამმა.

დავითი და ზაზა ვახტანგს უცქერდნენ, აბა რას იტყვისო.

— წამოვალ!— თქვა ბოლოს ვახტანგმა და მეგობრებს გაუღიმა.

ამხანაგები ცოტა ხნის შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ იმ, პირობით, რომ საღამოს კლუბში კვლავ შეიყრებოდნენ.

***

იმ ღამეს ვახტანგის მშობლებს, მარიამსა და როსტომს, ცხარე საუბარი ჰქონდათ.

— ასე არ ივარგებს, რაღაც ზომები უნდა მივიღოთ, ბავშვი გამოიცვალა, გაკვეთილებს ზერელედ ამზადებს, ბურთის მეტი არაფერი აწსოვს. სკოლაში მიდი და ამბავი გაიგე, თორემ შემდეგ გვიან იქნება...—ეუბნებოდა მარიამი მეუღლეს.

დაფიქრებული როსტომი დიდხანს დუმდა, შემდეგ კი ხმამაღლა უპასუხა:

— ვფიქრობ და არ ვიცი, რა ზომები უნდა მივიღო. პირდაპირ გასაოცარია, რა გახდა ასეთი ეს ბურთი?! ოთახში ბურთს თამაშობენ, ეზოში, ქუჩაში, მოედანზეც ხომ ბურთის თამაშია. განა მე გართობისა და თამაშობის წინააღმდეგი ვარ! მაგრამ ყველაფერს თავის დრო აქვს, ყველა ფეხბურთელი ხომ არ გამოვა! ჯერ თავისი საქმე გააკეთონ და შემდეგ ითამაშონ.

დიდხანს ილაპარაკეს როსტომმა და მარიამმა. დაწოლის დრომ მოაღწია.

ამ დროს ოთახში ვახტანგი შემოვიდა.

— სად აღამებ დღეებს, ყმაწვილო? რას ფიქრობ? ახალნაყიდ ფეხსაცმელს ერთ კვირაში ძირი გააგდებინე... შენი ბურთი აღარ გვასვენებს, თამაშს თავისი დრო აქვს! — უსაყვედურა როსტომმა შვილს.

— მე ამხანაგებთან ერთად კლუბში ვიყავი ლექციაზე. არაფერი დამიშავებია. დღეს გაკვეთილები მოვამზადე, შემდეგ ცოტა ხნით ბურთი ვითამაშე!—დარცხვენით უპასუხა ვახტანგმა.

— ცოტა ხნით კი არა, მთელი დღე ბურთს თამაშობ. ეს ერთი კვირაა ნაშუადღევს სულ გარეთ ხარ. ეგრე არ ვარგა, შვილო,—უთხრა მარიამმა.

— მაშ კარგი,—მიმართა მამამ ვახტანგს,— ხვალ სკოლაში ერთად წავიდეთ, იქ გავიგებთ, როგორ სწავლობ ამ ბოლო დროს. ჯერჯერობით შენთვის მთავარია სწავლის კაპიტანი იყო, ფეხბურთი კი თავისუფალ დროს ითამაშე.

* * *

დილით ჩვეულებრივზე ადრე ადგნენ როსტომი და ვახტანგი და სკოლაში წავიდნენ. როსტომმა კლასის ხელმძღვანელი მოიკითხა. ნიკო ზვიადაურმა მამა-შვილი თავაზიანად მიიწვია ცალკე ოთახში. ვახტანგი ცუდ ხასიათზე იყო და თავჩაღუნული იდგა.

როსტომმა პირდაპირ დაიწყო:

— ჩემი შვილის ამბავი მინდა გავიგო. ჩვენ ამ ბოლო დროს უკმაყოფილონი ვართ მისი ქცევით. შინ მოსვლის შემდეგ ბურთის თამაშს უნდება ეს ყმაწვილი. არ ვიცი, როგორ სწავლობს და რას აკეთებს სკოლაში.

ნიკო ზვიადაურმა ვახტანგს გადახედა, თითქოს თვალებით ეუბნებოდა:—შენზე მამის საყვედურს არ მოველოდიო,—შემდეგ როსტომს მიუბრუნდა და ნელი ხმით უპასუხა:

— რასაკვირველია, ხშირად ბურთის თამაში ბევრ დროს წაართმევს მოსწავლეს. ეს კარგი არაა. მე ვფიქრობ, ვახტანგი არ ჩაიდენს ასეთ საქმეს, ჭკვიანი ყმაწვილია. შეუძლია გაცილებით უკეთ ისწავლოს.

როსტომი მოლბა და შვილს მიმართა:

— ვახტანგ, შენს მასწავლებელთან გეუბნები: ბურთის თამაშს ნუ გადაჰყვები! მე არ გიშლი ხანდახან ითამაშო, მაგრამ ზედმეტი არ ვარგა. სწავლას მოუმატე, წიგნები იკითხე. კვლავაც დაესწარი ლექციებს, როგორც

გუშინ, მაგრამ გიმეორებ: უპირველეს ყოვლისა გაკვეთილები უნდა მოამზადო.

— სავსებით სწორია,—დაემოწმა კლასის ხელმძღვანელი,—ჯერ გაკვეთილები და შემდეგ სხვა საქმე. კარგია, საჯარო ლექციებს რომ ესწრები. რა ლექცია მოისმინე გუშინ?

— სამყაროს აგებულების შესახებ, პატივცემულო მასწავლებელო! — უპასუხა ვახტანგმა, რომელსაც არ მოეწონა ამ საკითხზე საუბარი.

— სასიამოვნოა! ეს ლექცია გუშინ მეც მოვისმინე, მაგრამ შენ არ მინახავხარ!

— მე ზაზასა და დავითთან ვიჯექი...

ნიკო ზვიადაურს უკმაყოფილება დაეტ-



ყო. როსტომმა ეს მაშინვე შეამჩნია და იფიქრა: ალბათ ჩემი შვილი ცუდ წრეში არის მოხვედრილიო და ამიტომ შვილს წყენით მიმართა:

— ხომ გეუბნებოდი, ვახტანგ, კარგ ამხანაგებთან იარე-მეთქი. შენ კი...

მასწავლებელმა როსტომს სიტყვა შეაწყვეტინა:

— არა, არა, საქმე მაგაში არ არის. ზაზა და დავითი საუკეთესო ბავშვებია, ვახტანგის მეგობრებია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ვახტანგს, მგონი, ტყუილი უსწავლია!

ნიკო ზვიადაურმა გამოიძახა ზაზა და დავითი და წყნარად შეეკითხა:

— ვისთან ისხედით გუშინ ლექციის დროს?

— თქვენთან, პატივცემულო მასწავლებელო!—უპასუხა ზაზამ.

— კიდევ?

— მათ ვერ ვიცნობთ...

— ვინ ნახეთ თქვენი კლასიდან?

— პეტრე და გიორგი.

— კიდევ?

დაღონებულმა ვახტანგმა თავი სწრაფად ასწია, ზაზას და დავითს მიაჩერდა და თვალებით ემუდარებოდა: თუ შვიდი წლის მეგობრობა გწამთ, თუ ოდნავ გიყვარვართ, სთქვით, ვახტანგიც ვნახეთო.

ვახტანგის გულისტკივილს ზაზაც მიხვდა და დავითიც, მაგრამ მეტად გამოუვალი მდგომარეობა შეიქნა: გუშინ ზვიადაურმა კლუბში საგანგებოდ ჰკითხა ზაზასა და დავითს მათი მესამე ამხანაგის შესახებ და ყმაწვილებმა უპასუხეს არ მოსულაო. ახლა რა თქვან?!

განა მასწავლებელი ასე გულმავიწყი იყო, რომ მათი გუშინდელი ნათქვამი არ ხსომებოდა! ეს ხომ აშკარა მოტყუება იქნებოდა! მაგრამ ვახტანგისათვის რა ექნათ! მერე და რანაირად ემუდარებოდა ამხანაგებს თვალებით!

დუმილი ჩამოვარდა.

ზვიადაური ადგა და ბავშვებს კვლავ გაუმეორა:

— მე გეკითხებით: ვინ ნახეთ კიდევ ჩვენი კლასიდან?

— არავინ! — მოისმა ზაზასა და დავითის ყრუ ხმით ნათქვამი პასუხი.

თურმე ვახტანგი წინადღის საღამოს, კლუბში წასვლის ნაცვლად, თავისი გუნდის წევრებთან ყოფილა და გეგმას ადგენდა ახალი მატჩისათვის.

გაკვეთილების ზარიც დარეკეს. მოსწავლეები კლასში წავიდნენ. ოთახში მარტოდ დარჩნენ როსტომი და ნიკო ზვიადაური.

* * *

გაკვეთილებზე ვახტანგი დაღვრემილი იყო. პირველ მარცხს მეორეც მოჰყვა. ყოველთვის ასეა, როცა გასაკეთებელ საქმეს უმიზეზოდ გადადებს ხოლმე კაცი. ალგებრის მაგალითები ვახტანგს გამოუყვანელი დარჩა: ვერც შინ მოასწრო და ვერც სკოლაში. დავალების შეუსრულებლობისათვის მასწავლებლისაგან საყვედური მიიღო.

ამის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ხასიათზე არ მოსულა. ზაზასა და დავითსაც კი უსაყვედურებდა.—რატომ მეტ თანაგრძნობას არ მიწევთო, მაგრამ მათ შორის პატარა უკმაყოფილება დიდხანს არ გრძელდებოდა. ყმაწვილებს ყოველთვის მაინც ერთმანეთისაკენ მიუწევდათ გული.

მათ მეგობრობაში ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ ერთ გარემოებას არ ეჩინა თავი.

ვახტანგმა ვერ იქნა და ვერ მოიშორა ბურთზე ფიქრი! ხან „არაგვის“ ცუდად მოთამაშე მარცხენა გარემარბი აგონდებოდა, ხან მეკარე, რომელმაც უსინდისოდ გაუშვა ოთხი ბურთი. ვახტანგი ადგენდა ახალ-ახალ გეგმებს გუნდის სახელის დასაცავად.

იყო დღეები, როცა ვახტანგი სრულიად მიანებებდა თავს ბურთის თამაშს და მთელი გულისყური გაკვეთილებისაკენ ჰქონდა, მაგრამ თუ ერთხელ ითამაშებდა, საზღვარი არ იცოდა: თამაშობდა სკოლაში, ქუჩაშიც და თავის გუნდშიც. გაკვეთილების მოსამზადებლად კი დროს იშვიათად შოულობდა.

ამის გამო მისი ცოდნა ბევრ საგანში მტკიცე არ იყო. ზაზა და დავითი წუხდნენ, რომ მათი საყვარელი მეგობარი სწავლაში თანდათან უკან რჩებოდა და ერთხელ, მარტოდ ყოფნის დროს, უთხრეს:

— შენ წინათ უკეთესად სწავლობდი, ვახტანგ, ახლა რა გემართება, არ ვიცით. მართლა ხომ არ გგონია, რომ შენგან დიდი ფეხბურთელი გამოვა? თუნდაც ასე იყოს, რომელი ფეხბურთელია, რომ ბურთს გარდა სხვა სპეციალობა არ ჰქონდეს?

— ნუ გეშინიათ, არ ჩამოგრჩებით,—უპასუხა წყენით ვახტანგმა.

რამდენიმე დღის შემდეგ მათ საკონტროლო წერითი სამუშაო ჰქონდათ ალგებრაში. გაუჭირდა ვახტანგს ამოცანის ამოხსნა. დიდხანს ეწვალა, რამდენიმე სტრიქონი დაწერა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს ვერ მოითმინა, მერხის ქვეშ ფეხი გააპარა და ზაზას წაკრა: თავი გასწი, უნდა გადავიწეროო. მაგრამ ზაზამ უარი უთხრა:—შენ თვითონ ამოხსენი ამოცანაო.

ამას კი აღარ მოელოდა ვახტანგი. სახეზე ჭარხალივით წამოწითლდა და ხმის ამოუღებლად კალამი დადო. მასწავლებელმა რვეულები შეაგროვა და რამდენიმე დღის შემდეგ ვახტანგმა გაიგო, რომ მან ორიანი მიიღო.

ამ შემთხვევამ მეგობრებს შორის მწვავე შელაპარაკება გამოიწვია. ზოგიერთი მოსწავლე ზაზას ამტყუნებდა და ამბობდა:

— ძალიან დიდად მოაქვს თავი! ვითომ ეგეც ამხანაგია! რა იქნებოდა, რომ გადაეწერინებინა ვახტანგისათვის?! ვახტანგიც ხომ ხუთიანს მიიღებდა! ჩვენს კლასში ზაზასავით არავინ მოიქცევა.

— მე მოვიქცევი ზაზასავით!—მტკიცედ თქვა დავითმა.—არც გადავაწერინებ ვინმეს, არც მე გადავიწერ, არც ვუკარნახებ, არც სხვისი კარნახი მინდა.

— ბიჭოს, რა ყოფილხარ! ვერ გიცნობდი თურმე... მე კი მეგობარი მეგონე!—უპასუხა ვახტანგმა.

— სწორედ რომ შენი მეგობარი ვარ, ამიტომ არც გადაგაწერინებ და არც გიკარნახებ.

— რატომ?—იკითხა ერთმა მოსწავლემ.

— მე ვიცი რატომ!—ჩაერია საუბარში მეორე მოსწავლე პეტრე,—როცა იმედი გაქვს მაინც მიკარნახებს ვინმეო, გაკვეთილებს ერთი წაკითხვით ამზადებ, ან სრულიად არ ამზადებ. ეს კი გამოცდების დროს ორიანებით დაგასაჩუქრებს, როგორც მე მომივიდა წინათ. აბა, თქვენს გულში ჩაიხედეთ, რამდენჯერ წამოსულხართ ამხანაგების იმედით გაკვეთილმოუმზადებელნი? ხშირად გასულხართ კიდეც ფონს, მაგრამ ეს რა ფონს გასვლაა! ცოდნა არ გექნება, და ჩვენ ხომ იმიტომ არ დავდივართ სკოლაში, რომ უცოდინარები გავიდეთ სკოლიდან?!

— მართალს ამბობ, პეტრე,—თქვა დავითმა,—მაგრამ ვახტანგს არ უნდა ეს დაიჯეროს. თუ მას მე არ გადავაწერინებ, არ ვუკარნახებ, ამას მტრობით კი არ ჩავიდენ, არამედ მეგობრობით. მე მინდა, ვახტანგმა ისწავლოს, თვითონ დაწეროს და მცოდნე ყმაწვილი გამოვიდეს.

დავითის სიტყვა ბევრმა მოიწონა, მაგრამ ვახტანგი მაინც დიდად ნაწყენი იყო მეგობრებზე.

იმ დღიდან მათ თვალს არიდებდა.

* * *

ნიკო ზვიადაურმა ყველაფერი იცოდა, რაც კლასში ხდებოდა. ის უსიტყვოდ უწონებდა ზაზასა და დავითს საქციელს. ამავე დროს ყურადღება და მზრუნველობა არ შეუნელებია ვახტანგის მიმართ.

— განა ცუდი ბიჭია ვახტანგი! არა, ცოტათი გზას ასცდა და უნდა ვუშველოთ. მე ძგონია, მალე მობრუნდება ჩვენკენ.

მალე ასეც მოხდა.

ვახტანგი დაუფიქრდა თავის მდგომარეობას. მოწაფეების წინაშე დარცხვენილი მიხვდა, რომ არ არგებდა ბურთის თამაშით მეტისმეტი გატაცება. თავისთავს შეებრძოლა, ნებისყოფა გამოიჩინა და შესძლო გამოენახა დრო მეცადინეობისათვის.

ვახტანგი თანდათან უმატებდა სწავლას, წარმატებას იჩენდა და თავაზიანობით ყველას ყურდღებას იპყრობდა.

მალე ვახტანგი ისევ ის ვახტანგი იყო, როგორსაც იცნობდნენ შვიდი წლის მანძილზე ზაზა და დავითი. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ამ სასიამოვნო ცვლილებამ სრულებით ვერ გამოიწვია ვახტანგის შერიგება და დაახლოება მეგობრებთან. რამდენჯერ მოინდომეს ზაზამ და დავითმა ვახტანგთან ძველი ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ ამაოდ: ვახტანგს მაინც გული არ გაუმრთელდა მათზე.

— ან სიამაყით მოსდის, ან სირცხვილით, — ფიქრობდნენ ზაზა და დავითი.

ბევრჯერ სცადა კეთილი ხასიათის პეტრემ მოელბო ვახტანგის გული, მაგრამ მუდამ ასეთ პასუხს ღებულობდა:

— არ ვუყვარვარ დავითსა და ზაზას. რა მოხდებოდა, ზაზას რომ ეშველა მაშინ ჩემთვის? მე მეგობრისათვის ცეცხლში გადავვარდები!

ერთ დღეს ნიკო ზვიადაური კიბის ბოლოველ საფეხურზე იდგა და შინ მიმავალ თავის მოსწავლეებს აცილებდა. წინ, რამდენიმე ამხანაგთან ერთად, გაიარა ვახტანგმა, მოშორებით მათ მიჰყვებოდნენ ზაზა და დავითი.

კლასის ხელმძღვანელმა ყმაწვილები შეაჩერა და ჰკითხა:

— შერიგდით?

— არა, პატივცემულო მასწავლებელო!— უპასუხა დავითმა.

— მე არაფერი დამიშავებია მისთვის, — თქვა ზაზამ.

— პირიქით, თქვენ მას საუკეთესო მეგობრობა გაუწიეთ,—უთხრა ზვიადაურმა.

— მეც ეგრე მეგონა, მეგობრობა გავუწიეთ მეთქი, მაგრამ რატომღაც ჩვენი მეგობრობა დაირღვა!—უპასუხა დავითმა გულისტკენით.

მასწავლებელს გაეცინა:

— არა, მეგობრობა ასე ადვილად არ ირღვევა. მეგობრობამ ქაჯეთის ციხე აიღო! ვახტანგი თავის გულში თქვენი მადლიერია, მაგრამ ჯერჯერობით თავისი ყმაწვილური სიამაყე აჩერებს ალბათ. მალე შერიგდებით.

შალვა ამისულაშვილი

ბერ მუხაში ჩადგა წყალი...

გაზაფხულდა, მისი მადლით
წყალი ჩადგა ბერ მუხაში,
ღამეს დარდი მოემატა,
გაუხუნდა წვერ-ულვაში...
მარტმა, ფიცხმა და მზიანმა,
ბროწეულის, ლელვის გარდა,
ყველა ხე და ყველა ბუჩქი
ყვავილებით გადაბარდნა...
ცხენს მუხლებში ძალა მისცა,
მოატარა მთა და ბარი,
სახედარიც აკუნტრუშა
უწყინარი, თავმდაბალი...

აპრილს გულმა ვერ გაუძლო,
შემოახტა თავის თეთრონს:
— ჩქარა, ცხენო, ემანდ მარტმა
ყვავილი არ დამიბერტყოს!
ესა სთქვა და... ცის თავანზე
გაიელვა მისმა ხმალმა,
ღრუბლებს უბე გადაუხსნა,
წვიმა ასვა მიწას ხარბად...
მერე უცბათ დაიქუხა,
კლდე შეტოკდა შეშფოთებით,
და აპრილმა სამაისოდ
გამოასხა ხეს ფოთლები!

მ. ლაზიშვილი

ნახატები ელენე ახვლედიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ციყვის ამბავი

სოფლის ბოლოს ერთი ბებერი, ფუღუროიანი ცაცხვი იდგა. ფუღუროს ვიწრო შესასვლელი ჰქონდა, მაგრამ შიგნით იმდენად განიერი იყო, რომ საკუჭნაოდ გამოდგებოდა.

ამ ფუღუროში ერთი ახალგაზრდა, მარტოხელა ციყვი ცხოვრობდა, უხასიათო და უმეგობრო. არავინ იცოდა, საიდან იყო იგი მოსული.

ერთი დიდი სურვილი ჰქონდა მას: უნდოდა ფუღურო სანოვაგით პირამდის აევსო. — ამ საწადელს თუ მივაღწიე, მხოლოდ მაშინ ვიქნები ბედნიერი, — ფიქრობდა ციყვი.

ცაცხვის გარშემო თხილნარი იყო, რომელიც ყოველწლიურად უხვად ისხამდა ნაყოფს. მახლობლად რკოთი დახუნძლული უზარმაზარი მუხებიც იდგა. ეს გარემოება საუკეთესო პირობებს უქმნიდა ციყვს თავისი საწადელის მისაღწევად.

დამწიფდა თუ არა თხილი, ციყვი დაუღალავად შეუდგა ფუღუროში თხილის შეზიდვას. მაგრამ იმდენად გაუმაძღარი იყო, რომ ტყეში ციყვებისა და თხილის მოყვარული ცხოველების გამოჩენას ვერ იტანდა. ასე ეგონა, თითქოს ისინი ნაშრომს სტაცებდნენ მას. ამის გამო ყველას ედავებოდა. გაუმაძღრობისა და ჭირვეულობის გამო მეზობლებს არ უყვარდათ. ეს გარემოება ციყვს არ სწყინდა: თუ არავინ მოვა ჩემთან, მით უფრო კარგია, — ფიქრობდა იგი, — ვერც ვერაფერს მთხოვენ და ვერც ვერაფერს წამართმევენო.

ერთ დღეს ციყვის მეზობელი ყვავი ცაცხვის ტოტზე ისვენებდა. ხანდახან სიამოვნებით გადახედავდა ბუდეში ჩაძინებულ ბახალებს. ტყიდან მომავალი თხილით დატვირთული ციყვი რომ დაინახა, თავისდა უნებურად ჩამოსძახა:

— რა დაუღალავი ხარ, მეზობელო! ამდენ სანოვაგეს რომ აგროვებ, გეტყობა, ოჯახის შექმნას აპირებ!

ციყვი შეჩერდა და წყენით ახედა ყვავს.

— როგორ გეკადრება ასეთი ლაპარაკი! ოჯახის შექმნას როგორ გავბედავ! რა მაბადია! ჩემი მონაპოვარი მე თვითონ ორ დღესაც არ მეყოფა!

ყვავმა უხერხულობა იგრძნო.—რა მრჯიდა, რომ გამოველაპარაკე! — თავისთვის ჩაიჩურჩულა, ციყვს კი დასამშვიდებლად უთხრა:

— არა, საწყენად კი არ მითქვამს, მეზობელო. დაუღალავად რომ მუშაობ, ვიფიქრე: მეგობრის მოყვანას თუ აპირებს-თქო!

— მეგობრის პოვნა ღარიბს სად შეუძლია! — თქვა ციყვმა და საცოდავად თავი დახარა.

— აგრე რად ფიქრობ! კარგ მეგობარს თუ ამოირჩევ, ურიგო არ იქნება, მუშაობაში დაგეხმარება და იცხოვრებთ ბედნიერად.

— ოჯახის შექმნა რა ჩემი საქმეა! — წა-

მოიძახა აღშფოთებულმა ციყვმა, — შვილებს მოვლა და საჭმელი დასჭირდებათ! მე კი მშიერ კუჭს ვერ ვიძღებ.

— ჰმ! — ჩაიცინა ყვავმა, — შენი სიმდიდრე ჩემი თვალით ვნახე და, საკვირველია, ტყუილის თქმა ახლო მეზობელთან რატომ გჭირდება?!

— როგორ! თქვენ ჩემი სიმდიდრე ნახეთ?! — გაიკვირვა ციყვმა. — ცრუობთ!

ყვავი ტოტიდან ჩამოფრინდა და ციყვის წინ დაჯდა.

— რადგან თქვენს სიმდიდრეზე ლაპარაკი ასე გაბრაზებთ, — ხმადაბლა თქვა ყვავმა,— არ მინდა ჩემი ნათქვამი სხვებმა გაიგონონ. გუშინ ჩემი ერთი მეტიჩარა ბახალა ბუდიდან გადმოვარდა, ვითომ გავფრინდებიო, და შენს ფუღუროში კი ჩავარდა. როდესაც მის ამოსაყვანად ფუღუროში შევედი, კინაღამ გავგიჟდი, მობრუნება გამიჭირდა: იმდენი სანოვაგე მარტოხელამ როგორ მოაგროვე?!

4338

ყვავი უმალ ცაცხვზე შეფრინდა და იქიდან დაუწყო ციყვს ცქერა, — აბა, ვნახოთ, რას იტყვის ან როგორ მოიქცევაო. მაგრამ რეტდასხმულ ციყვს ხმა არ ამოუღია. ერთ ხანს გაშტერებული იდგა... ყვავი რომ არ დაენახა, ზევით არ აუხედავს. ბოლოს გული დაიმშვიდა: მაგასთან დავა არ ღირს. აბა, რისი ყვავია, თუ არ იყრანტალაო. და თხილი საჩქაროდ სოროში შეყარა. შემდეგ უმალვე ტყისკენ გაბრუნდა სანოვაგის მოსაზიდად.

შემოდგომა დაიწყო. ტყეში რკო დამწიფდა. ახლა, თხილთან ერთად, რკოს მოგროვებასაც შეუდგა ციყვი. მოსვენება არ ჰქონდა. არც ჭამა ახსოვდა, არც სმა. ღამით, როცა დაქანცული ციყვი თავის მოგროვებულ სანოვაგეზე ისვენებდა, ხელში კაკლებს ათამაშებდა, შიოდა, მაგრამ შესაჭმელად ერთსაც არ იმეტებდა.

ძილი ფრთხილი ჰქონდა. ეშინოდა, არავინ გამქურდოსო, და ხშირად იღვიძებდა. გიჟივით დაათვალიერებდა თავის დოვლათს, ხომ არა მაკლია-რაო.

შემოდგომა მიიწურა. ციყვი ისევ დაუღალავად აგროვებდა რკოსა და თხილს.

ერთ დღეს მას ბებერი ციყვი ეწვია. საბრალოსათვის მონადირე ძაღლს ცალი ფეხი დაეგლიჯა და საზრდოს შოვნა არ შეეძლო. მეზობლები, ვისაც რით ეხერხებოდა, დაეხმარნენ. ავადმყოფმა მორიდებით დახმარება სთხოვა ახალგაზრდა ციყვს. გაუმაძღარმა ციყვმა ზედაც არ შეხედა და გულმოსულმა ჩაიბურდღუნა:



— იმისათვის კი არ ვიკლავ შრომით თავს, რომ ჩემი ქონება მაწანწალებს დავურიგო! ან რა ქონების პატრონი ვარ! ჩემი მონაპოვარი მე ძლივს მეყოფა!

ბებერი ციყვი სახტად დარჩა. არ მოელოდა ახალგაზრდა ციყვისაგან ასეთ მოპყრობას. სიმდიდრეს გაუბღენძიაო, — იფიქრა და შეურაცხყოფილი უკან გაბრუნდა.

დადგა ზამთარი. ცოტა წამოთოვა. ციყვი სუსხმა ვერ შეაშინა, კვლავ დაუღალავად აგროვებდა სანოვაგეს. ფუღურო ისე გააცსო დოვლათით, რომ შიგ ძლივსღა შედიოდა. მაგრამ მისი ნატვრა ხომ ფუღუროს პირამდის გავსება იყო!

ერთ დღეს იმდენი მოზიდა სანოვაგე, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის შესანახად ფუღუროში ადგილი ვერ ნახა.

გული დასწყდა ციყვს — ფუღურო რატომ უფრო დიდი არ არისო, — ამოიოხრა დაღონებულმა და მოტანილი სანოვაგე ფუღუროს შესასვლელთან დაყარა.

ციყვმა მიაღწია საწადელს — ფუღურო პირამდის ჰქონდა დოვლათით სავსე, მაგრამ კმაყოფილი მაინც არ იყო. ტყიდან კიდევ შეიძლებოდა თხილისა და რკოს მოზიდვა, მაგრამ სად შეენახა?!

იმ ღამეს ძლიერი ყინვა დადგა. გარეთ მყოფ ციყვს ძაგძაგი დააწყებინა. შუაღამისას მან იგრძნო, რომ იყინებოდა. ფუღუროსათვის უნდა შეეფარებინა თავი, მაგრამ იქ მისთვის ადგილი არ იყო. საჭირო იყო მოგროვილი სანოვაგის ნაწილი ფუღუროდან გამოეყარა, ციყვი კი ერთ კაკალსაც არ იძეტებდა ფუღუროდან გამოსაგდებად.

— რა კარგია ახლა თბილი კერა, მეგობარი, ოჯახი! — ამბობდა ციყვი. გრძნობდა, რომ ავად იყო, შველას საჭიროებდა, მაგრამ ახლომახლო ერთი სულიერი არსებაც არ იმყოფებოდა.

ყინვა თანდათან ძლიერდებოდა. აძაგძაგებულ ციყვს მოთმინება დაეკარგა. გადაწყვიტა ფუღუროდან სიმდიდრის ნაწილი გამოეყარა, რათა თავისთვის ადგილი გაეთავისუფლებინა. დიდი გულისტკივილით წაავლო პირველ კაკალს პირი... მაგრამ იმდენად დასუსტებული აღმოჩნდა, რომ მისი დაძვრაც ვერ შესძლო.

დილით იგი მკვდარი იპოვეს ფუღუროს შესასვლელთან: თავის მიერ მიზიდულ თხილისა და რკოს გროვაზე დამჯდარი გაყინულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი

ვრცელია ჩვენი დიადი სამშობლო... 11.500 კილომეტრზე გადაჭიმულა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ოთხი ათას კილომეტრზე გაშლილა მისი სივრცე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. ორი ოკეანე და თოთხმეტი ზღვა აკრავს გარს ჩვენს მშობლიურ მიწას... დედამიწის მეექვსედი ნაწილი უკავია ჩვენს ქვეყანას.

ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველ კუთხეში საბჭოთა ხალხის აზრი და გონება, გულისყური მიპყრობილია ქვეყნის გულისადმი — მოსკოვისადმი.

მოსკოვი... მასთან დაკავშირებულია დიდი რუსი ხალხის მრავალსაუკუნიანი ისტორია, საბჭოთა ხალხის ოცდაათი წლის გმირული ისტორია.

ისტორია მოგვითხრობს...

იმ გორაკზე, სადაც ამჟამად კრემლი მდებარეობს, XII საუკუნის დამდეგს იყო დაბა მოსკოვი. უხსოვარ დროს აქ სლავიანური ტომის—ვიატიჩების დასახლება იყო. ეს დასახლება მდიდარი ბოიარინის სტეფანე ივანეს-ძე კუჩკას სამფლობელოების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. არსებობს ერთ-ერთი ლეგენდა, რომლის თანახმად ბოიარინ კუჩკას შეებრძოლა სუზდალის მთავარი, ვლადიმერ მონომახის ვაჟი—იური დოლგორუკი. გამარჯვება წილად ხვდა თავად იურის, რომელმაც თავი მოჰკვეთა კუჩკას და ხელთ ჩაიგდო მისი სამფლობელოები. ეს ლეგენდა მოსკოვს ეკუთვნის და სინამდვილესთან ახლოა. მართლაც, ძველად მოსკოვს ორი სახელი ჰქონდა: მოსკოვი და კუჩკოვო. მოსკოვის ახლომახლო ადგილებმა შეინარჩუნეს სახელწოდებანი, რომელნიც სიტყვა „კუჩკას"-გან წარმოიშვნენ.

ძველ დოკუმენტებში დაბა მოსკოვი პირველად იხსენიება 1147 წლის 4 აპრილს.

1147 წელს სუზდალის მთავარმა იური დოლგორუკიმ სტუმრად მიიწვია ნადიმზე თავისი მოკავშირე მთავარი სვიატოსლავი ერთ-ერთ დღესასწაულზე, რომელიც იმ წელს 4 აპრილს აღინიშნებოდა. სწორედ იური დოლგორუკის ეკუთვნის სიტყვები, რომლებითაც ძან მიმართა სვიატოსლავს: „მოდი ჩემთან, ძმავ, მოსკოვში"

(„Приди ко мне, брате, в Московь").

1156 წელს მოსკოვს იური დოლგორუკიმ ხის კედელი შემოავლო. მე-14 საუკუნისათვის მოსკოვი პატარა სამთავროს სატახტო ქალაქი გახდა. თათარ-მონღოლების გამუდმებულმა თარეშმა აიძულა მთავარი ივანე კალიტა (1328-1341) გაემაგრებინა ქალაქი. კალიტა მოსკოვის ირგვლივ ერთ სახელმწიფოდ ჰკრებდა რუსთა დაქსაქსულ სამთავროებს.

1367 წელს მოსკოვის ახალგაზრდა მთავარმა, ივანე კალიტას შვილიშვილმა დიმიტრიმ (დონელი) კრემლის კედლები თეთრი ქვისაგან ააგო. ამ კედლებმა ას წელზე მეტ ხანს იარსება.

მოსკოვის კრემლი

მოსკოვის სამეფოს დიდმა მთავარმა, „სრულიად რუსეთის პირველმა ხელმწიფემ" ივანე მესამემ დაიწყო მოსკოვის გამშვენიერება. მოსკოვის პატარა კრემლი ივანე III გააფართოვა და დიდ ციხე-დარბაზად გადააკეთა. გამომწვარი აგურისგან კრემლის კედლების აგებას ხელმძღვანელობდა გამოჩენილი იტალიელი ხუროთმოძღვარი არისტოტელე ფიორავანტი. დღესაც ძირითადად შერჩენილია იმდროინდელი კედლები, რომელთაც 30 წელზე მეტ ხანს აშენებდნენ.

1635-36 წლებში რუსმა ოსტატებმა ბაჟენ ოგურცოვმა, ტროფილე შარუტინმა, ანტონ კონსტანტინოვმა და ლარიონ უშაკოვმა ააგეს სამეფო კოშკები, რომლებიც ახლა კრემლის დიდი სასახლის შემადგენლობაში არიან.

პეტრე პირველის დროს კრემლში აგებულ იქნა არსენალი, ხოლო მე-18 საუკუნეში კრემლი გამშვენდა საუცხოო შენობებით: კრემლის მცირე სასახლითა და სენატით (ახლა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს შენობა), რომელთა ავტორი იყო გამოჩენილი რუსი ხუროთმოძღვარი მატვეი თედორეს-ძე კაზაკოვი.

მე-17 საუკუნის ოციან წლებში ინგლისელმა მესაათემ ჰალოვეიმ სპასის კოშკზე მოაწყო ახალი საათი. ამის შემდეგ საათი

იცვლებოდა სხვადასხვა დროს, მაგრამ კურანტების მელოდიური ჰანგები კი მოსკოვის კრემლის აუცილებელ ნაწილს შეადგენდნენ.

1838-49 წლების განმავლობაში აგებულ იქნა კრემლის დიდი სასახლე, სადაც ამჟამად უმაღლესი საბჭოს სესიები ტარდება. იმავე წლებში აგებულ იქნა ე. წ. საჭურველთა პალატი, რომელიც ახლა ძველი რუსული გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმს წარმოადგენს.

მოსკოვის კრემლი 18 კოშკისაგან შედგება: მათგან ხუთ კოშკს ჭიშკარი აქვს (სპასის, ნიკოლის, ტაინიცის, ტროიცისა და ბოროვიცის). ცილინდრული სამი კოშკი განლაგებულია სამკუთხედის ფორმის მსგავს კრემლის კედლების კუთხეებში. დანარჩენი ათი კოშკი უჭიშკროა და შედარებით მცირე ზომისაა.

როდესაც გაიგო მის წინ იყო ვლადიმერ ილიჩი, მხედრულად გასწორდა და საზეიმოდ მიესალმა საბჭოთა მთავრობის მეთაურს. ილიჩმა ჩვეული ღიმილით შეხედა ჯარისკაცს და პასუხად ხელი ქუდთან მიიტანა.

— აღმართეთ კრემლზე წითელი დროშა! — ბრძანა ილიჩმა და წითელი ალამი კრემლზე, მოსკოვზე, მთელ რუსეთზე აფრიალდა. და აი, 30 წელია წითელი ალამი ამაყად ფრიალებს კრემლის თავზე, ალისფრად დაჰყურებს მის მშვენიერ სასახლეებს, ჩვენს ქვეყანას.

გენიალური რეკონსტრუქციის დიადი გეგმა

მოსკოვი თავისი ნაგებობებით, დაგეგმვით ვერ აკმაყოფილებდა მზარდ მოთხოვნილებებს. დედაქალაქის გეგმაში ბევრი რამ იყო



მოსკოვი. წითელი მოედანი XVIII საუკუნეში

წითელი დროშა კრემლზე

1918 წლის 12 მარტს საბჭოთა მთავრობა პეტროგრადიდან მოსკოვს გადავიდა. თითქმის ორასი წლის განმავლობაში (1714 წლიდან) რუსეთის დედაქალაქი პეტროგრადი იყო. 1918 წლის გაზაფხულზე მოსკოვი გამოცხადდა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქად.

1918 წლის მარტის ნათელ დღეს კრემლის ტროიცის ჭიშკარს ავტომობილი მიუახლოვდა. გუშაგმა მანქანის გაჩერება ბრძანა და მგზავრებს საშვი მოსთხოვა. საშვი უჩვენეს. გუშაგი პირადად ვერ იცნობდა ლენინს და

მოძველებული, მრავალი რამ დარჩენილი იყო ე. წ. „დიდი რუსული სოფლისაგან“, ძველი მოსკოვისაგან. ქალაქი კი დღითი დღე იზრდებოდა. უკვე 1934 წლისათვის მოსკოვმა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ მსოფლიოში მეცხრე ადგილიდან მეექვსეზე გადმოინაცვლა. მაგრამ დედაქალაქის რეკონსტრუქციის სწორი გზის მონახვა საკმაოდ რთული იყო... მოსკოვის რეკონსტრუქციისათვის რამდენიმე ათეული პროექტი იქნა შედგენილი.

მოსკოვის მშენებლობის საკითხებში ამხანაგმა სტალინმა უშუალო მონაწილეობა მიიღო, შედგა მთავრობის სპეციალური კომისია და 1935 წლის 10 ივლისს მიღებულ იქნა მთავრობისა და პარტიის დადგენილება მოსკოვის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შესახებ.

გეგმის თანახმად მოსკოვი უნდა შექმნილიყო ისეთი ქალაქი, რომელიც სრულყოფილად შეესაბამებოდა ჩვენს სოციალისტურ ეპოქას, საბჭოთა ხალხს. დაიწყო დედაქალაქის რეკონსტრუქცია. შენობებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქუჩების გაფართოებას, ანგრევდნენ ანდა გადაადგილებდნენ ახალ ნაკვეთზე.

ყოველ საათს, ყოველდღე სახეს იცვლიდა დედაქალაქი.

მოსკოვის ზღვა

რვაასი წელია დგას მოსკოვი და იგი სულ მუდამ სახმელეთო ქალაქი იყო. იმ დროისათვის, როდესაც მოსკოვის კრემლზე წითელი დროშა აფრიალდა, ქალაქში მდვრიე წყალი მიმდინარეობდა. ქალაქი იზრდებოდა, მოსკოვის წყალი კი უფრო და უფრო კლებულობდა. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ 1937 წლისათვის მოსკოველები თავის მდინარეს სულ ერთიანად ამოაშრობდნენ. მეცნიერები, ინჟინრები საგონებელში ჩავარდნენ, დაიწყეს წყლის ძებნა... დაბოლოს ამხანაგი სტალინის წინადადებით მიღებულ იქნა გაბედული გეგმა: ვოლგა მოსკოვისაკენ უნდა მობრუნებულიყო.

და აი, 1937 წელს მოსკოველებმა დაინახეს, რომ ისინი უხვწყლიან, ფართო, ღრმა და წმინდა მდინარის ნაპირზე ცხოვრობენ. კრემლის კედლებს, პირველი მაისის აღლუმზე, მიადგა აქ ჯერ უნახავი ხომალდების ქარავანი, რომელსაც წინ მიუძღოდა თბომავალი „იოსებ სტალინი“... მას შემდეგ განუწყვეტლივ გუგუნებენ ხომალდების საყვირები მოსკოვში... ამუშავდა მოსკოვ-ვოლგას არხი, შეიქმნა „მოსკოვის ზღვა“, რომელმაც ბალტიის, კასპიისა და თეთრი ზღვები შეაერთა... მოსკოვი საზღვაო ქალაქი გახდა.

დედაქალაქის მიწის ქვეშ

მოსკოვის მეტროპოლიტენი... როგორც კი მოხვდება ადამიანი მის ერთ-ერთ სადგურში, უმალვე ავიწყდება, რომ იგი მიწის ქვეშ 50-80 მეტრის სიღრმეზე იმყოფება. ფართო, ლამაზი და ელნათურებით გაკაშკაშებული სადგურები საუცხოო სანახაობას წარმოადგენენ. ძვირფასი მარმარილო, უჟანგავი ფოლადი, გრანიტი, პრიალა მუხა და კაკალი, ბუნებრივი ქვები, აი ის მასალები, რომლებითაც დამშვენებულია მიწისქვეშა „ქალაქი“. მოსკოვის მეტროპოლიტენი საბჭოთა საამშენებლო ტექნიკის ბრწყინვალე ნაწარმოებია, მას ბადალი არა ჰყავს მთელს მსოფლიოში.

მოსკოვის მეტროს მთელი ქვეყანა, საბჭოთა ხალხი აშენებდა. საბჭოთა კავშირის 500-მდე ქარხანა ამზადებდა მის შეკვეთებს. მეტროპოლიტენმა უზრუნველჰყო დედაქალაქის მოსახლეობა სწრაფი და მოხერხებული ტრანსპორტით. ომის წლებში მეტროპოლიტენმა დაუფასებელი სამსახური გაუწია მოსკოველებს არა მარტო როგორც სატრანსპორტო საშუალებამ... მიწისქვეშ მყოფი სადგურები და გვირაბები ყველაზე უფრო საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდნენ მოსახლეობისათვის ყუმბარისაგან დასაცავად.

1935 წლის 15 მაისს ამუშავდა მეტროს პირველი რიგი. სამი წლის შემდეგ ამუშავდა მეორე რიგი. ომის წლებში აგებულ იქნა მესამე რიგი. 1945 წლის 15 მაისს მოსკოვის მეტროპოლიტენი ათი წლის თავს ზეიმობდა. ამ დროისათვის მეტროს საერთო სიგრძე შეადგენდა 40-კილომეტრიან ორმაგ გზას, 29 სადგურით. ჯერ კიდევ ომის დროს დაიწყო მეტროს კიდევ ერთი, წრიული ხაზის მშენებლობა, რომელიც ახლო მომავალში დამთავრდება.

მოსკოვის გმირული დაცვა

სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ხალხის მეხსიერებაში ჩვენი დედაქალაქი 1941 წლის შემოდგომის სუსხიან დღეებში, ჩაბნელებული, თოვლით დაფარული ქუჩებით, გზაჯვარედინებზე მებრძოლთა საგუშაგოებით, საჰაერო განგაშის სირენების გულსაკლავი ყივილით. გამხეცებული მტერი დედაქალაქის კედლებთან იდგა. მოსკოვი სამხედრო ბანაკს დაემსგავსა, აიბურძგნა ბარიკადებით, შემოირკალა მავთულხლართებით, ტანკსაწინააღმდეგო თხრილებით.

1941 წლის 6 ნოემბერს ჩატარდა ტრადიციული საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტუ-

რი რევოლუციის 24 წლისთავისადმი. აი, ტრიბუნაზე გამოჩნდა ამხანაგი სტალინი. სულის მოუთქმელად უსმენდნენ ბელადს დარბაზში მსხდომნი და რადიორეპროდუქტორებთან მილიონები.

მშვიდი, მარტივი და ნათელი აზრი გენიოსისა გულსა და ტვინს ხვდებოდა, ახალ ძალებს, იმედსა და სიმტკიცეს ჰმატებდა საბჭოთა ხალხს. რაც მაშინ წარმოთქვა ბელადმა, განხორციელებულ იქნა საბჭოთა არმიის, ჩვენი ხალხის მიერ.

მეორე დღეს მოხდა ის, რისი წარმოდგენაც შეუძლებელი იყო ალყაშემორტყმულ ქალაქში. 7 ნოემბერს. წითელ მოედანზე ამხანაგ სტალინის ბრძანებით ჩატარდა ტრადიციული სამხედრო აღლუმი. ამ ბრძანების სიდიადე უბადლოა ისტორიაში. ეს იყო ძლიერი გამოწვევა ფაშისტების ბნელი ძალების მიმართ, რომლებიც მოსკოვის კედლებთან იდგნენ. ეს იყო უნახავი სიმამაცის, სიმტკიცის სიმბოლო, გამარჯვების ურყევი რწმენის სიმბოლო.

ბრძოლა მოსკოვის მახლობლად უფრო და უფრო გააფთრებულ ხასიათს ღებულობდა.

და აი, დეკემბრის სუსხიან დილას დაიწყო ის, რასაც მტერი არ მოელოდა. 6 დეკემბერს დიდი სტალინის ბრძანებით დაიწყო საბჭოთა არმიის გენერალური შეტევა მოსკოვთან.

მალე მტერი უკუგდებულ იქნა დედა-სამშობლოს გულიდან; ვით დევგმირმა შემოტა-ბერტყა მოსკოვმა ფაშისტთა ურდოები...

სამშობლოს დედაქალაქი

ომი დამთავრდა... საბჭოთა ხალხი ვერაგ მტერზე გამარჯვებას ზეიმობდა. წითელი მოედნის ქვაფენილზე, ლენინის მავზოლეუმის კვარცხლბეკთან, ყრუდ ეცემოდნენ დამარცხებული მტრის ალმები. საბჭოთა ხალხი შეუდგა ომით შეწყვეტილ მშვიდობიან ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ყოველდღე, ღამის 12 საათზე, რადიოტალღები გადასცემენ კრემლის კურანტების მელოდიურ ჰანგებს. სპასის კოშკის საათის რეკვა ჰკვეთს ჰაერის სივრცეს, საათის ჟღერა მიცურავს მოსკოვზე, მთელს სამშობლოზე, მსოფლიოზე. კრემლის ხმაა, მშობლიური მოსკოვის ხმა. და ასეთ ხანდაზმულ დროსაც ჩვენ შევყურებთ მოსკოვს, წითელ მოედანს, ჭაღარა კრემლს, მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის შტაბს, რომელსაც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ახალ-ახალ გამარჯვებებისაკენ მიჰყავს საბჭოთა ხალხი.

ნიკოლოზ ჯაში

ნიკო აბზიანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინიას ოინები

ერთ ახალგაზრდა, თავმომწონე ინგლისელს, რომელიც პარიზში იყო ჩასული, მდინარე სენის ხიდზე მოუხდა გავლა. უცებ საიდანღაც ფინია გამოხტა, მშვენივრად გაწმენდილ ფეხსაცმელებზე ტალახიანი თათებით გადაურბინა და სულ დაუსვარა. ინგლისელი იძულებული შეიქნა იქვე ხიდზე მჯდომ ფეხსაცმელების მწმენდავისათვის მიემართა ფეხსაცმელების გასაწმენდად.

ეს ახირებული ფინია ყოველთვის ასე იქცეოდა, რამდენჯერაც კი არ მოუხდა ინგლისელს ხიდზე გავლა. ამ გარემოებამ ინგლისელი დააინტერესა, დაუწყო თვალყურის დევნება და დაინახა, რომ ფინია ხიდის ქვეშ ჩაირბენდა, ტალახში თათებს განზრახ ამოისვრიდა, შემდეგ ხიდზე ამოირბენდა და მოუთმენლად ელოდა სუფთაფეხსაცმელებიან გამვლელს. ინგლისელი მიხვდა, რომ ძაღლი ფეხსაცმელების მწმენდავს ეკუთვნოდა. დაუწყო ფეხსაცმელების მწმენდავს გამოკითხვა და ის ცოტა ყოყმანის შემდეგ გამოტყდა, რომ ძაღლი მისი გაწრთვნილია და იგი ამ ხერხით მეტ სამუშაოს შოულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიუ-ლიენი

ჩინური ამბავი

ჩინეთში არის ძველი კანონი, რომლის ძალითაც ხელებს ჭკვეთენ მას, ვინც შენიშნული იქნება თვალთმაქცობაში.

ჩინეთის ერთ მანდარინს (დიდ მოხელეს) სახელმწიფო საქმეებში აბრალებდნენ თვალთმაქცობას. ჩინეთის ხელმწიფე—ბოგდიხანი განრისხდა მანდარინზე და ბრძანა დაესაჯათ იგი—მოეკვეთათ მისთვის ხელები.

ყველაფერი უკვე მომზადებული იყო სასჯელის ასასრულებლად, როდესაც ბოგდიხანის სასახლესთან გამოცხადდა სიუ-ლიენი, მანდარინის ახალგაზრდა ქალიშვილი. სიუ-ლიენი დარწმუნებული იყო მამის უდანაშაულობაში და სასახლის მსახურთ სთხოვა გაეშვათ იგი ბოგდიხანთან.

ადვილი არ იყო ამ თხოვნის შესრულება, მაგრამ სიუ-ლიენი ცხარე ცრემლებით ემუდარებოდა მსახურთ. ბოლოს მსახურნი მოლბნენ და გადაწყვიტეს წარედგინათ გოგონა მრისხანე ბოგდიხანისათვის.

როდესაც სიუ-ლიენმა დაინახა ოქროთი და ალმასებით გამბრწყინებული ბოგდიხანი, პირქვე დაემხო მის წინ.

— დიდო ხელმწიფეო,—უთხრა მან ბოგდიხანს,—ამბობენ, ჩემს მამას სასჯელი დაუმსახურებია. მე ეს არ მჯერა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უბედურ ჩემს მამას მაინც უნდა მოჭკვეთონ ხელები... აი, წაიღეთ ეს ხელები!

სიუ-ლიენმა ბოგდიხანს გაუშვირა თავისი პატარა და ნაზი ხელები.

— ეს ხელები,—განაგრძო მან,—ეკუთვნიან ჩემს უბედურ მამას! ეს ხელები უძლური არიან ჯერ კიდევ, რომ გამოკვეთონ ჩემი სუსტი დედა, ჩემი ავადმყოფი ძმა და პატარა დაიკო. უბრძანე მკაცრად მოეპყრან ამ ხელებს, როგორც კანონი მოითხოვს, ოღონდ გადავარჩინო მამის ხელები, რომელთაც შეუძლიათ ოჯახის გამოკვება.

ბოგდიხანი ძლიერ გააკვირვა სიუ-ლიენის საქციელმა. ერთხანს დაფიქრებული იდგა, შემდეგ დახედა მის წინაშე დამხობილ ქალიშვილს და უბრძანა:

— ადექი! ისე იქნება, როგორც შენ თხოულობ! ნაცვლად ცოდვილი მამაშენის ხელებისა შენ მოგკვეთენ შენს უცოდველ ხელებს!

ბოგდიხანის ბრძანებით სიუ-ლიენი დასასჯელ ეზოში გაიყვანეს. იქ მოედანზე იდგა საჯალათო კუნძი, რომელიც დაფარული იყო ადამიანის სისხლის ლაქებით.

გოგონას რკინის რგოლებით მაგრად მიუკრეს ხელები საჯალათო კუნძზე.

მალე სიუ-ლიენს მიუახლოვდა ჯალათი ბასრი ნაჯახით.

გოგონა გაფითრდა, მაგრამ შებრალებისათვის სიტყვაც არ უთქვამს.

აი, აღიმართა ჯალათის ნაჯახი სიუ-ლიენის გაშვერილ ხელებზე... ამ დროს გამოვიდა მოედანზე ბოგდიხანის დიდი მოხელე და ჯალათს ხელი დაუქნია.

გაღიმებულმა ჯალათმა ნაჯახი დაუშვა.

მალე ეზოს ჭიშკარი გაიღო და სიუ-ლიენის წინ წარსდგა პატიმრობიდან გან-თავისუფლებული მამა.

ბოგდიხანმა აპატია მანდარინს და ბრძანა არ ეწარმოებიათ დასჯა იმ ეზოში, სადაც მან გამოცადა სიუ-ლიენის ნების-ყოფა. იმ ეზოს შუა მოედანზე აღმართეს ქვის სვეტი მარმარილოს დაფით, რომელ-ზეც ეწერა:

„აქ სიუ-ლიენი, ქალიშვილი მანდა-რინ იხუნგისა, მზად იყო გაეწირა თავი-სი სიცოცხლე, რომ გადაერჩინა სიცოც-ხლე მამისა.



ბედნიერი არიან მამები, რომელთაც ჰყავთ ასეთი ქალიშვილები!

ნეტარ არს ის მიწა, რომელზეც წარ-მოიშობა ასეთი სიყვარული!“

გადმოკეთებული რუსულიდან

ივ. მესხის მიერ

ნახატები ირ. რაზმაძისა



ჯ. ჯავრიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურისტული მგზავრობა

როგორ ავაგოთ მოგზაურობის სქემა

(პრაქტიკული რჩევა-დარიგება)

მოგზაურობისათვის მზადების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტი სვლიგეზის (ძარშრუტის) დასახვას, რადგანაც იმაზე, თუ რამდენად სწორედ ავარჩიეთ სვლიგეზი, დამოკიდებულია მთელი მოგზაურობის მსვლელობა და შედეგები. სწორედ არჩევა სვლიგეზისა გულისხმობს მოძრაობისათვის მოხერხებული მიმართულების არჩევას. ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული სვლიგეზის მახეილი და ამასთან შეფარდებით დრო, რომელიც მოუნდება მის გავლას. სვლიგეზის ხასიათზეა დამოკიდებული მოძრაობის რეჟიმი, დაბახაკების ადგილები, დიდი დასვენების ადგილი და სხვ. ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იყოს სვლიგეზის სქემის შედგენის დროს. საჭიროა, რომ სვლიგეზი წრიული მოეწყოს, ესე იგი მისი საწყისი წერტილი და დასასრული ერთი და იგივე იყოს: დაბრუნებისას სხვა მიმართულებით ვიაროთ და არა იმავე გზით, რომელიც უკვე გავიარეთ.







წრიული სვლიგეზის სქემის შედგენა სულ უბრალო ხერხით შეიძლება. რუკაზე მანძილის გასაზომად ჩვეულებრივი ხერხების გამოყენებაც (ფარგლით, ქაღალდის ზოლით, კურსიმეტრით) შეიძლება, მაგრამ წრიული სვლიგეზის ასაგებად საჭიროს შემდეგი პრაქტიკული ხერხი გამოვიყენოთ:

ხაზობრივი მასშტაბის საშუალებით მოვზომოთ განზრახული სვლიგეზის სიგრძის ძაფი (სვლიგეზის საწყისი წერტილიდან — ჩვენს შემთხვევაში სოფელ ბაგებიდან—მის დასასრულ წერტილამდე). ვთქვათ, ჩვენ მიზნად დავისახეთ ორდღიანი მოგზაურობის ჩატარება ვერის ხეობით და შემდეგ კოჯრისა და წავკისით უკან დაბრუნება. ორდღიანი ექსკურსიის სვლიგეზის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 24-30 კილომეტრს (დღეში 12-15 კილომეტრის გავლის ვარაუდით).

ჩვენი მოზომილი ძაფის სიგრძეც (მასშტაბის მიხედვით) დაახლოებით 30-კილომეტრიან სვლიგეზს შეეფარდება. შემდეგ გადავაბათ ძაფის ბოლოები და დავადოთ ეს მარყუჟი რუკაზე წინასწარ დასახულ სვლიგეზს და ქინძისთავების საშუალებით გავამაგროთ ისე, რომ იგი დაემთხვეს გზის ყველა მნიშვნელოვან კლაკნილს. ამის შემდეგ ფანქრით მოვხაზოთ მიღებული წრიული სვლიგეზი და გადავიტანოთ იგი ქაღალდზე. აღვნიშნოთ დასვენების ადგილები, დაბანაკების ადგილი და სხვა. კარგი იქნება, რომ სვლიგეზის სქემაზე, განსაკუთრებით თუ მოგზაურობა გვიხდება უცნობ ადგილებში, რომელსაც მხოლოდ აღწერილობით ვიცნობთ, აღნიშნულ იქნეს წყაროები, ტყე, ისტორიული ძეგლები და ყველა ის ობიექტი, რომელთა შესწავლა შეადგენს ჩვენი მოგზაურობის მიზანს. თვით მოგზაურობის დროს სქემაზე უნდა გადავიტანოთ ყოველივე ღირსშესანიშნავი, რასაც გზაში შევხვდებით. ეს მოგ-



ვცემს საშუალებას ჩვენს დღიურებსა და აღწერილობებში უფრო ზუსტად აღვნიშნოთ, ვთქვათ, ამა თუ იმ მინერალის თუ მცენარის პოვნის ადგილი.

სვლიგეზის სქემა უნდა დაერთოს მოგზაურობის ანგარიშს.



აფხაზური ანდაზები

1. სიმართლის თქმა მკვდარსაც გააცოცხლებსო.
2. ორი ქონდრის კაცი ქვეყანაზე ვერ ეტეოდაო.
3. კუს თვალები მისცეს და წარბებიც მოითხოვაო.
4. ტურას ჰკითხეს: ქათმის ხორცს თუ სჭამო? — და გაეცინა.
5. კამეჩმა ბოსტანში კომბოსტო დაინახა და ღობე კი ვერ შეამჩნია.
6. დროზე დათესილი დროზე ამოვა.

შ. გვინჩიძე



(მითოლოგიის ლექსიკონი)

აპოლონი (**აპოლო**) მზისა და სინათლის, მეცნიერების, ხელოვნების, პოეზიისა და მედიცინის ღმერთად ითვლებოდა. აპოლონი ზევსისა და ლატონას (ლეტოს) შვილი იყო. დაიბადა იგი კუნძულ დელოსზე. ამ კუნძულზე თავს აფარებდა ლატონა, რათა გადარჩენოდა საშინელი გველეშაპის პითონის დევნას, რომელიც მას ეჭვით შეპყრობილმა ზევსის მეუღლემ ჰერამ მიუსია.

გავიდა დრო. დავაჟკაცდა სხივმოსილი, ოქროსთმიანი აპოლონი. აიღო ხელში სიმებიანი საკრავი —კითარა და ვერცხლის მშვილდი, მხარზე მოიგდო კაპარჭი, რომელშიც ოქროს ისრები ჰქონდა ჩაწყობილი, და ოლიმპოს გაეშურა.

სიბნელისა და ბოროტების დაუძინებელი მტერი იყო აპოლონი. გზაზე მიაკვლია მან თავისი დედის მდევნელს, ბნელეთის განსაახიერებას გველ პითონს და მოჰკლა იგი მშვილდისრით. პითო ეწოდა იმ ადგილს, სადაც აპოლონმა მოჰკლა და მიწაში ჩამარხა პითონი. იქ დაარსდა ქალაქი დელფი და აპოლონის საკურთხეველი სახელგანთქმული ორაკულით (სამისნოთი), საიდანაც აპოლონი თავისი ქურუმი ქალის პითიას საშუალებით აუწყებდა ადამიანთ ზევსის ნებასურვილს.

ქალაქ დელფის დაარსების ამ მითის ისტორიულ სარჩულად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დორიელებმა (ბერძენთა ტომია) დაიპყრეს წინათ აქ მცხოვრები ხალხი, რომლებიც „ზევსს არ სცემდნენ თაყვანსო“ და დააარსეს თავისი საკუთრხეველი და ორაკული. ამის მიხედვით აპოლონი ითვლებოდა ახალშენთა, საბერძნეთის კოლონიების დამაარსებელთა მფარველად.

სწორედ ამ პერიოდში, როდესაც ბერძენ ტომთა დასახლება და კოლონიზაცია მიმდინარეობდა, დელფის ორაკულს უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა. აპოლონის კულტი დელფში მაორგანიზებელ და გამაერთიანებელ ცენტრს წარმოადგენდა. საკურთხევლის დასაცავად წარმოიშვა „ამფიქტიონიები“ — ტაძრის „ირგვლივ მცხოვრებთა“ კავშირი, რომელშიც შედიოდნენ სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენლები. მალე დელფის ამფიქტიონია რელიგიურ გაერთიანებიდან პოლიტიკურ და საერთაშორისო კავშირად—„მთელი ელადის საერთო კერად“ გადაიქცა.

გაზაფხულსა და ზაფხულს აპოლონი დელფში ატარებდა, შემოდგომის დამდეგს კი თავისი ეტლით, რომელშიც თოვლისებრ თეთრი გედები ჰყავდა შებმული, მიემგზავრებოდა ჰიპერბორეების (ჩრდილოეთის ქარის „ბორეასის ქროლვის გადალმა“ მდებარე) ქვეყანაში, მარადიული გაზაფხულის მხარეს, რომელიც ლატონას სამშობლოდ და, მაშასადამე, აპოლონის დედულად ითვლებოდა. გაზაფხულზე აპოლონი კვლავ დელფს ესტუმრებოდა და მას აქ დიდის ამბით ეგებებოდნენ. სხივმოსილი აპოლონის ყოველწლიურად ჩრდილოეთიდან დაბრუნება ძველ ბერძენისათვის ეს იყო იგივე, რაც ბუნების გამოღვიძება და აღორძინება გაზაფხულზე.

დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ აპოლონს თვით ოლიმპის ღმერთებიც. როგორც კი აპოლონი ოლიმპოზე გამოჩნდებოდა, ღმერთები ყველანი ფეხზე წამოდგებოდნენო,— ამბობს ჰომეროსი. ღვთაებრივი მუსიკით ატკბობდა აპოლონი ოლიმპელებს. როდესაც იგი თავის ჯადოსნურ კითარას ააჟღერებდა და მისი მხლებელი მუზების სიმღერა ოლიმპოს მიდამოებს მოეფინებოდა, სულგანაბული ღმერთები სმენად გადაიქცეოდნენ: მრისხანე არესს ავიწყდებოდა მაშინ სისხლი და ვაება და თვით ზევსის არწივიც კი დაუშვებდა თავის მძლავრ ფრთებს, მილულავდა თავის გამჭრიახ თვალებს და აღარ ესმოდა მუქარით სავსე მისი ხიფხიფი; მშვიდად იჯდა იგი ზევსის სკიპტრაზე.

როგორც ფიზიკური სინათლის ღმერთს, აპოლონს ორეული ჰყავდა ჰელიოსის სახით და ამ მხრივ იგი მოგვიანებით გაიგივებული იყო ჰელიოსთან, რის გამო მას სინათლის ღმერთი—ფებოსი ეწოდა („ფებოს“ ნიშნავს „ბრწყინვალეს“, „სხივმოსილს“). ამის მიხედვით აპოლონის ემბლემად „განთიადის მაუწყებელი ფრინველი“ — მამალი ითვლებოდა. მაგრამ ფებოსი უფრო ფართო ცნებას შეიცავდა: იგი მიჩნეული იყო ღვთაებრივი სინათლის წყაროდ, განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველად.

გარდა ამისა, აპოლონს უწოდებდნენ კითარედოსს, ესე იგი მომღერალსა და მუსიკოსს, რომელიც კითარის აკომპანემენტით მღერისო. ამის მიხედვით აპოლონი ყველა 9 მუზის წინამძღოლად— მუზაგეტად ითვლებოდა.

აპოლონი, როგორც მისი ამ სახელის ეტიმოლოგია უნდა მოწმობდეს (Apollon Apellon, ლათინურად apello —„ავიცდენ“, „უკუვაგდებ“), უბედურების ამცილებელია. აქედან წარმოსდგა მისი

თაყვანისცემა როგორც სნეულებათა უკუმგდების, განმკურნებელი ღვთაების — პეონისა. მოგვიანებით ბერძნებმა და რომაელებმა მკურნალობის სპეციალური ღმერთი გაიჩინეს — ასკლეპიოსი (ესკულაპი), შვილი აპოლონისა.

ამასთანავე აპოლონი სიცოცხლის მომსპობიცაა, დამნაშავეთა დამსჯელი, ბრძოლის ველზე სიკვდილის მთესველი. მსგავსად მზის სხივებისა, რომელთაც ყოველთვის როდი მოაქვთ სიცოცხლე ბუნებისათვის, არამედ ზოგჯერ სიკვდილსაც სთესავენ, აპოლონის ოქროს ისრებიც, შორიდან გამოტყორცნილნი, სწრაფი, უეცარი სიკვდილით ჰკლავენ ადამიანს. ჰომეროსის პოემებში ამიტომ აპოლონის ეპითეტებია: „ვერცხლის-მშვილდოსანი“, „შორითგანმგმირავი“, „ისრისმტყორცნელი“. ამის მიხედვით აპოლონი ესახებოდათ როგორც მშვილდისრით შეჭურვილი ახალგაზრდა მსროლელი, როგორც ბერძენ ჭაბუკის — „ეფებოსის“ იდეალი.



ბელვედერის აპოლონი

აპოლონის კულტი (თაყვანისცემა) დაკავშირებული იყო იმ პერიოდთან, როდესაც, ენგელსის თქმით, — „ადამიანის ფაქტიური ცხოვრების პირობების განვითარებამ“ ისტორიული ცვლილებები გამოიწვია მამაკაცისა და დედაკაცის საზოგადოებრივ ურთიერთობაში და გამარჯვება მოუპოვა მამის უფლებას დედის უფლებაზე. მამის უფლების დამკვიდრებამ თავისი ასახვა ჰპოვა მითოლოგიაში. ძველი,—ქრონოსის თაობის ღმერთები შეცვლილ იქნა მითოლოგიაში ახალი,— ზევსის მოდგმის ღმერთებით. აპოლონი ახალი მოდგმის ღმერთია. იგი პატრიარქატის მოსარჩლედ არის მიჩნეული, იგი ებრძვის მატრიარქატის დამცველ ძველ ღმერთებს. ესქილეს ტრილოგია „ორესტეიაში“ მამის უფლების მოსარჩლე აპოლონი ძველ ღმერთებს ერინნისებს ასე ეუბნება:

მე ვუბრძანე, რომ მას (ორესტესს)
შური ეძია მისი მამის მკვლელზეო...

ამიტომ იყო, რომ ამ პერიოდში ათენელებში დამკვიდრდა ჩვეულება, რომლის მიხედვით ყოველი ადამიანი, რაკი იგი გვარსა და საგვარეულო ორგანიზაციას აკუთვნებდა თავის თავს, „აპოლონ-მამის“ თაყვანისმცემელი უნდა ყოფილიყო, მისი კულტის აღმსარებელი.

აპოლონი, როგორც ფებიელი, ნათელი გონების საწყისი უპირისპირდებოდა დიონისეს — ღვინის ღმერთს, მის აღვირახსნილ ღრეობასა და მის ექსტატურ, გადაჭარბებული აგზნებულების კულტს.

აპოლონის კულტი დაკავშირებული იყო აგრეთვე მესაქონლეობის პერიოდთან. აპოლონი ჯოგების მფარველია. თვითონ იდეალური მწყემსია: იგი უბადლოდ მწყემსავს წლების მანძილზე თესალიის მეფის ადმეტოსის ჯოგებს ტაიგეტის მთებში. პითონის დამთრგუნველი აპოლონის პატივსაცემად ყოველ ხუთ წელიწადში დელფის მახლობლად დელფის ანუ პითიის დიდი დღესასწაული ტარდებოდა. პირველ ხანებში ამ დღესასწაულზე მუსიკალური შეჯიბრება იმართებოდა, შემდეგში სატანვარჯიშო შეჯიბრებანი დაერთო. ამის მსგავსად რომში დაწესებული იყო აპოლინარიის დღესასწაული. ეს მოხდა ძველი წელთაღრიცხვის 431 წელს. რომში შავი ჭირი მძვინვარებდა. რომაელებმა ვედრებით მიმართეს აპოლონს და თავის მხსნელს მადლობის ნიშნად პირველი ტაძარიც აუგეს.

აპოლონს მიძღვნილი ჰქონდა დაფნის ხე, როგორც მჭიდროდ დაკავშირებული მის კულტთან. დელფის ტაძარში დაფნა იდგა, აპოლონის საკურთხეველში შესავალს ყოველთვის დაფნის სურნელოვანი ფოთლებით ამკობდნენ. დაფნის ხე აგრეთვე სიმბოლო იყო ნიმფა დაფნასთან აპოლონის გამიჯნურებისა.

აპოლონის მითოლოგიური სახე ხშირადაა გამოყენებული პოეზიაში. პუშკინს, მაგალითად, გამოყენებული აქვს ეს სახე თავის ლექსში „პოეტი“. პოეტის საზოგადოებრივი სამსახური პუშკინს ესახება ისეთ საქმედ, რომლისკენაც მას თვით ღმერთი, ხელოვნების მფარველი და მუზების წინამძღოლი აპოლონი მოუწოდებს.

სანამ არ იხმობს წმინდა ზვარაკად
თვით აპოლონი—პოეტს სრულიად,
ის სულმდაბალი, რჩეულს არა ჰგავს,
ფუქსავატ ხალხში ჩაძირულია...

ფებოსი, ჰელიოსი, დელფის კერპი, კლაროსის ღმერთი—ასეთი სახელებით მოიხსენიებს პუშკინი აპოლონს თავის პოეზიაში. აპოლონის მიერ პითონის მოკვლის მითი პუშკინს მოხსენებული აქვს ეპიგრამაში „მშვილდი ზუზუნებს...“ მეფე ადმეტოსთან აპოლონის მწყემსად ყოფნის მითი—ლექსში: „რითმა—წკრიალა მეგობარი...“ აპოლონს მრავალი საკურთხეველი ჰქონდა მიძღვნილი და მათ შორის ერთი აგებული იყო მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე ქალაქ კოლოფონთან კლაროსში, აქედან პუშკინისათვის აპოლონი „კლაროსის ღმერთია“, დელფის საკურთხევლის მიხედვით—„დელფის კერპი“ და ა. შ. ესქილე, ევრიპიდე, გოეთე, ბაირონი, შილერი, ჰაინე, ჰერდერი ხშირად მიმართავენ აპოლონის სახეს.

„ლოქსიოს“—„მრუდი“—ასე უწოდებს ესქილე აპოლონს. ამით გადაკვრითაა ნათქვამი ის, რომ დელფის ორაკული არასოდეს პირდაპირ პასუხს არ იძლევა, არამედ ყოველთვის ორაზროვნად პასუხობს. ასე, მაგალითად, დელფის ორაკულმა შემდეგი უწინასწარმეტყველა ლიდიის მეფე კროზს, როდესაც მასზე იარაღით წამოვიდა სპარსეთის მეფე კიროსი: „თუ შენ გადახვალ მდინარე ჰალისს, დაღუპავ დიდ სახელმწიფოსო“. მაგრამ თუ რომელ სახელმწიფოს, საკუთარს თუ სპარსელებისას, ამაზე არაფერი იყო ნათქვამი ამ წინასწარმეტყველებაში.

აპოლონის მრავალ ქანდაკებათა შორის საყოველთაოდ განთქმულია აპოლონის მარმარილოს ქანდა-

კება—„ბელვედერის აპოლონი“*). ეს ქანდაკება რომაული ასლია ბრინჯაოს ქანდაკებისა, რომელიც შეუსრულებია ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ბერძენ მოქანდაკე ლეოქარესს. თვით ამ ბრინჯაოს ქანდაკებას ჩვენამდე არ მოუღწევია.



აპოლონ კითარედოსი

ამ ქანდაკებაში აპოლონი მოძრაობის პოზაშია. მარცხენა ხელში მას, როგორც ფიქრობენ, მშვილდი ეჭირა, მარჯვენაში — დაფნის შტო. ისრებიანი კაპარჭი ზურგზე ჰკიდია, მოკლე მოსასხამი მხრებიდან მარცხენა მკლავზე აქვს ლამაზად გადაშვებული. თმა ზევით აქვს ავარცხნილი, ფეხთ ხამლები აცვია. მშვენიერი თავი და მაღალი ღირსების შეგნებით ამეტყველებული სახე ენერგიულად მიუბრუნებია მარცხნით, „ყველაფერი, რისი შექმნაც შეეძლო ბუნებას, გენიას და ხელოვნებას, — ყოველივე ეს ჩვენს თვალწინაა აქ“,—ამბობს ვინკელმანი „ბელვედერის აპოლონზე“ თავის ნაშრომში „ბერძენთა ხელოვნების შესახებ“. „ვატიკანის აპოლონი თითქოს ჰაერში ლივლივებს, მიწას ფეხს არ აკარებს“. „სიამაყე აპოლონის პირისახეზე აღბეჭდილია განსაკუთრებით მის ნიკაპსა და ტუჩებზე, რისხვა—ცხვირის ნესტოებზე, ათვალწუნება კი ოდნავად გაღებული პირითაა გამოსახული“. „აპოლონს კუნთები ნაზი აქვს... მსგავსია გამდნარი მინისა, რომელიც ამობურცულია ოდნავ შესამჩნევ ტალღებად. და შეიგრძნობა არა იმდენად თვალით, რამდენად შეხებით“, — ასე მეტყველებს ვინკელმანი „ბელვედერის აპოლონის“ მომაჯადოებელ სილამაზეზე. დასასრულ იგი „ბელვედერის აპოლონის“ სიმშვენიერეს ტურფა დღის განთიადს ადარებს.

აღსანიშნავია, რომ ვინკელმანის დროს—XVIII საუკუნეში—ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი პრაქსიტელესის „ჰერმესი“, რომლისგანაც „ბელვედერის აპოლონი“ გამოიორჩევა ჭარბი სიკოხტავით. „ბელვედერის აპოლონის“ მთელი ფიგურა უფრო ქალისებრ ნაზია, ვიდრე ვაჟკაცური, პრაქსიტელესის „ჰერმესი“ კი პირიქით.

ბაირონმა „ბელვედერის აპოლონს“ შემდეგი სტრიქონები მიუძღვნა თავის „ჩაილდ-ჰაროლდში“:

არ თმობს, არ უშვებს ის ხელიდან თავის
მშვილდისარს,
დგას პოეზიის და სინათლის ამაყი ღმერთი,
როგორც ხატება, მგზნებარება ქვეყნად თვით
მზისა.
უძლეველობით მოსილი აქვს სახე და მკერდი,
აი, მიჰქრიან შეუპოვრად მეხის ისრები.
მასში ერთბაშად ყველაფერი ავლენს ღვთაებას:
ფართო, მთრთოლავი ნესტოები,სახე მზისფერი
და მკაცრ თვალებში ელვის ცეცხლის აელვარება.

ცნობილია აგრეთვე პრაქსიტელესის (ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნე) ბრინჯაოს ქანდაკების — „აპოლონ სავროქტონის“ („აპოლონი — ხვლიკების მომსპობი“) მიბაძვანი, სახელდობრ, ბორგეზეს სასახლეში — ორი მარმარილოს ქანდაკება და ალბანის სასახლეში—ერთი ბრინჯაოსი. ფიქრობენ, პრაქსიტელესის ქანდაკებაში აპოლონი გამოსახული იყო მეფე ადმეტოსთან მწყემსად ყოფნის პერიოდში. აპოლონი აქ ჭაბუკია და წარმოდგენილია იმ მომენტში, როდესაც იგი მზად არის ისარი ჩაჰკრას ხეზე მოსრიალე ხვლიკს. პრაქსიტელესის ხელში ზვიადი ღმერთები რელიგიური კულტის საგნებიდან ბუნებისა და ცხოვრების მომხიბვლელ გამოსახულებად გადაიქცნენ: პრაქსიტელესის ღმერთები „გაადამიანებ ულ ი“ არიან.



აპოლონ სავროქტონი

აღსანიშნავია აგრეთვე მოქანდაკე სკოპასის (ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნე) აპოლონ-კითარედოსის ანუ მუზაგეტის ქანდაკების მიბაძვა, რომელიც დაცულია ვატიკანში. აპოლონი გამოქანდაკებულია მარმარილოსაგან კითარით ხელში და გრძელი საუცხოო ტანსაცმლითაა მორთული.

მოსკოვში დიდ აკადემიურ თეატრზე გამოქანდაკებულია აპოლონი; მას ხელში ქნარი უჭირავს და მოჰქრის ეტლით, რომელშიც ოთხი ბედაურია შებმული.

*) ბელვედერი რვაწახნაგოვანი ტალავარია ვატიკანში, გარშემორტყმული თაღედებითა და ოთხი დარბაზით, რომლებშიც დაცულია ანტიკური ქანდაკებანი. აქედან წარმოსდგა სახელწოდება „ბელვედერისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩი ავტორები

პიონერ-მოსწავლეთა დიდძალი ლიტერატურული მასალა მოსდის რედაქციას. ყველა ავტორის დაჟინებული სურვილია, ეს ნაწერები დაიბეჭდოს ჟურნალის ფურცლებზე. მაგრამ ამ ნაწარმოებების უმრავლესობა ჯერ კიდევ სუსტია.

ზოგიერთი ნორჩი ავტორი ნაკლებად ერკვევა ქართული მართლწერის ელემენტარულ საკითხებში, ხოლო მათი პრეტური მეტყველება მეტად დაბალ დონეზე დგას.

რედაქციაში შემოსული მასალების უმეტესი ნაწილი ლექსებია, ზოგადი ხასიათის, მოკლებული კონკრეტულ თემატურ გააზრებასა და მხატვრულ სახეებს.

ამ ლექსებში არ არის დაცული საჭირო რითმები. ზოგჯერ თითოეულ ტაეპში ირღვევა მარცვალთა რაოდენობა, ხოლო თემა, უმეტეს შემთხვევაში აქტუალური, ცუდად დაწერის გამო, ვერ ტოვებს სათანადო შთაბეჭდილებას.

გაოცებას იწვევს, რატომ არ არიან ნორჩი ავტორები დაინტერესებული ლიტერატურის სხვა ჟანრებით. ძალიან მცირე ნაწილი აგზავნის რედაქციაში მოთხრობებს. ამ მოთხრობებში არის საინტერესო მომენტები, მაგრამ ბევრჯერ ხელოვნური, არადამაჯერებელი მდგომარეობა იჩენს თავს. სქემატური არიან თვით ამ მოთხრობების გმირები. არ იგრძნობა ამბავის დინჯი, ეპიური თხრობა, რაც დამახასიათებელია საერთოდ პროზაული ნაწარმოებებისათვის. ამბავის გადმოცემის დროს ნორჩი ავტორები ჩქარობენ, ერთად უნდათ ყველაფერი თქვან. ეს ნაკლია.

პროზისთვის დამახასიათებელ მონაცემებს შედარებით ავლენენ ავტორები: ა. გაჩეჩილაძე, ა. სვანი, ვ. მამისაშვილი, თ. ებანოიძე, გ. ტოკლიკიშვილი, ვ. ჯავახაძე.

ხშირად ნორჩი ავტორები დაუდევრობასა და გულგრილობასაც კი იჩენენ თავიანთი ნაწარმოებისადმი: ცუდად ნაწერს, რამდენჯერმე ჩასწორებულს, ზოგჯერ მელნითაც მოთხვრილ ხელნაწერს გზავნიან რედაქციაში. ასეთები უთუოდ არ დაგიდევენ მოწაფის ავტორიტეტს.. ვინც შრომაში ცუღლუტია, ის ვერ დაეუფლება პოეტური მეტყველების რთულ საქმეს.

ახალგაზრდა ავტორმა ბევრი უნდა ისწავლოს, იბეჭითოს, მომწიფდეს, რომ შესძლოს სხვას ასწავლოს და გაუზიაროს თავისი შეხედულება. ილია ჭავჭავაძე „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“ ურჩევდა: ჯერ ისწავლეთ, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე სხვასაც შესძინოთ რამეო, მთელი სამყარო ერთი დიდებული წიგნია, მეცნიერება მას უხატებოდ გადმოგვცემს, ხოლო პოეზია ხატებითა და სურათითო. შემდეგ ილია აღნიშნავს: „მადლი ხომ მადლია, მაგრამ ამასაც მოვლა უნდა, უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაჟკაცება, თუ ეს ითქმის. ეგ ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სურნელებას ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდეც დღე მუდამ არა ჰფურჩქნის“. ეს სიტყვები უნდა დაიხსომოს ნორჩმა ავტორმა, როცა თავის პოეტურ ნიჭსა გრძნობს.

ნიჭი შრომაში იფურჩქნება, პირველ რიგში მეცნიერების დაუფლებაა საჭირო. ზოგიერთი ნორჩი ავტორი ძლიერ ჩქარობს თავისი ნაწარმოების დაბეჭდვას, ვერ ითმენს, ღელავს... მართალია, ბევრი საქვეყნოდ ცნობილი მწერალი ბავშვობიდანვე წერდა, მაგრამ ეს წვრთნისა და ვარჯიშობის ხანა იყო სამწერლო ასპარეზზე გამოსასვლელად, ხოლო პირველი ნაწარმოებები ამ მწერლებმა უკვე მომწიფების ასაკში გამოაქვეყნეს.

ლიტერატურაში სამოღვაწეოდ მთავარი, მოსამზადებელი მუშაობა პოეტური ნიჭის მქონე ახალგაზრდა ავტორებმა თვით სკოლის ლიტერატურულ წრეებში უნდა ჩაატარონ. ჩვენს სკოლებში მრავალი წრე არსებობს, სადაც ხდება სასწავლო პროგრამული მასალის გაღრმავება და განმტკიცება. სკოლებში ყველგან პოპულარობით სარგებლობს ლიტერატურული წრე. ამ წრეში უნდა წაიკითხონ ნორჩმა ავტორებმა პირველად თავიანთი ნაწარმოებები. აქ უნდა გაიმართოს სჯა-ბაასი მათ ნაკლსა და ღირსებაზე. შემდეგ აუცილებელია სათანადო კონსულტაცია მიღოს ახალგაზრდამ ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისაგან პოეტიკის საკითხებ-

ზე. ამის შემდეგ თავიანთი ნაწარმოებები ნორჩმა ავტორებმა უნდა მოათავსონ სკოლის კედლის გაზეთში, ლიტერატურულ ჟურნალში, რომელიც ბევრს სკოლაში გამოდის. იმ შემთხვევაში, თუ ნორჩი ავტორის ესა თუ ის ნაწარმოები განსაკუთრებული მოწონების ღირსია, შეიძლება ის გაუგზავნოს მოსწავლემ რედაქციას დასაბეჭდად.

ასეთი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს თითოეული მოსწავლე ამ ფრიად სერიზულ საქმეს.

ის ახალგაზრდა, რომელიც უფრო მეტს წერს, ვინემ კითხულობს, და სართო ცოდნას ნაკლებად იძენს, უთუოდ ამაოდ გაირჯება და ვერ მიაღწევს სასურველ მიზანს.

ნორჩი ავტორები მრავალმხრივ უნდა იყვნენ დაინტერესებული მუშაობის გამრავალფეროვნებით. კარგი იქნება ნორჩმა ავტორებმა წერონ დღიური, მოგზაურის შთაბეჭდილება, რეცენზია საინტერესო წაკითხულ წიგნზე და სხვა. მაშინ არ იქნება მხოლოდ ლექსებით გატაცება და ლიტერატურის ყოველი ჟანრი იმთავად საინტერესო გახდება ნორჩი ავტორისათვის.

ლექსების ავტორებიდან ყურადღებას იქცევენ მოსწავლეები: ა. სვანი, ირ. არაბული, ლ. კიკილაშვილი. მათი რამდენიმე ლექსი უკვე დაიბეჭდა. საინტერესოა მოსწავლეების: ბ. ეცეტაძის, რაფ. ავრას და ვლ. ასლამაზიშვილის, ჯ. ნიქაბაძის, ირ. ზაქარაშვილის ლექსებიც, მხოლოდ მათ სჭირდება უფრო მეტი თემატური კონკრეტობა.

ნორჩმა ავტორებმა ბევრი უნდა ისწავლონ, ბევრი უნდა იკითხონ კლასიკოსებისა და საბჭოთა მწერლების ნაწერები, უნდა დაეუფლონ მეცნიერების დარგებს, — მხოლოდ ამის შემდეგ შესძლებს ნორჩი შემოქმედი, თუ მას საკმაო ნიჭი შესწევს, შესაფერისი სიძლიერით გამოსახოს მხატვრულად თავის ნაწარმოებებში ჩვენი დიდი ცხოვრება თავისი მრავალფეროვნებით.

ეს დიდი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს ყველა ნორჩმა ავტორმა და როცა ესა თუ ის ნაწარმოები, ლექსი თუ მოთხრობა, მხატვრულად ძლიერი იქნება, რედაქცია მუდამ სიამოვნებით დაუთმობს მას ჟურნალში ადგილს.

მ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
ნ. დაფნარელი — ჩვენც სამსახურს ვუწევთ ხუთწლედს (ლექსი)	1
გავაუმჯობესოთ რაზმეულების, რაზმების რგოლების მუშაობა!	2
კ. ბობოხიძე — პიონერული სიმღერა სამშობლოზე (ლექსი)	6
ვ. ჟურული — გაზაფხული (ლექსი)	7
ლენინის სიჭაბუკე (ეპიზოდი ბიოგრაფიიდან)	8
ვ. სულაბერიძე — ვაშლის ხის ნერგი (ლექსი)	10
მ. კეკელიძე — მეგობრები (მოთხრობა)	11
შ. ამისულაშვილი — ბერ მუხაში ჩადგა წყალი (ლექსი)	15
მ. ლაზიშვილი — ერთი ციყვის ამბავი (მოთხრობა)	16
ნ. ჯაში — მოსკოვი (წერილი)	19
ნ. აბზიანიძე — ფინიას ოინები (ამბავი)	23
სიუ-ლიენი (ჩინური ამბავი)	24
კ. ჯავრიშვილი — შეისწავლე სამშობლო მხარე (წერილი)	26
აფხაზური ანდაზები	27
შ. გვინჩიძე — აპოლონი (მითოლოგიის ლექსიკონი)	28
ნორჩი ავტორები (წერილი)	31
მერცხლები (მინიატიურა)	გარეკანის მე-2 გვ.
გასართობი	გარეკანის მე-3 გვ.

გარეკანზე — „მერცხლები მოფრინდნენ“ ნახატი **ალ. გიგოლაშვილისა.**

სარედაქციო კოლეგია: **ი. აბაშიძე**, აკად. **ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე ვ. ვარდიაშვილი**, პროფ. **გ. თავზიშვილი, გ. კაჭახიძე** (პ/მგ. რედაქტორი), **ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.**

უე 01680. ტირაჟი 7000, გამომც. № 36, სტამბის შეკვეთა № 483, ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია კომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი

პასუხი ჟურნალ „პიონერის“ 1946 წლის №№ 10, 11 და 12-ში მოთავსებულ გასართობ გამოცანებზე

გეოგრაფიული ჩაინვოკრდი (№ 10)

1. აბისინია, 2. აბო, 3. ორინოკო, 4. ორასი, 5. იანვარი, 6. რიო-დე-ჟანეირო, 7. ობი, 8. იმერეთი, 9. თბილისი, 10. ირკუტსკი, 11. ინდიანა, 12. აჭარა, 13. როსტოვი, 14. ვიტებსკი, 15. ოავა, 16. ანი, 17 ივანოვო, 18. ორისაბა, 19. ბაქო, 20. ქუთაისი, 21. სტალინგრადი, 22. ინგლისი.

აკროკროსვოკრდი (№ 11)

1. პედაგოგი, 2. იუპიტერი, 3. ობსერვატორია, 4. ნიუტონი, 5. ელვა, 6. რაზმაძე, 7. ომი, 8. დარვინი, 9. ასტრონომია, 10. ექსკურსია, 11. ურანოსი, 12. ფორთოხალი, 13. ლაბორატორია, 14. ექსპედიცია, 15. მარი, 16. ენა, 17. ციოლკოვსკი, 18. ინსტიტუტი, 19. ედისონი, 20. რადიო, 21. ბიოლოგია, 22. ატლასი, 23. სტუდენტი.

აქედან ლოზუნგი:

პიონერო დაეუფლე მეცნიერებას.

ჩაფიქრებული ერთნიშნა რიცხვის გამოცნობა (№ 12)

უნდა შეაჯამოთ დასახელებული ნაშთის ციფრები და ეს ჯამი გამოაკლოთ თვრამეტს.

ვთქვათ, დასახელებულია 91.

9+1=10;

18—10=8.

მაშასადამე, ჩაფიქრებული ყოფილა 8.

გამოცანა-სურათი (№ 11)

მხატვარმა დაუშვა შემდეგი შეცდომები: 1. ბაირაღისა და კვამლის მიმართულება ერთმანეთის საწინააღმდეგოა, 2. სახლზე ფანარი მეტად მაღლაა, 3. ვიტრინას აწერია „პური“, იქ კი ჭურჭელი აწყვია, 4. ვიტრინას აწერია „შესავალი“, 5. საწვიმარი მილი ყირამალაა, 6. საათის ციფერბლატზე არის რიცხვი „13“, 7. მთვარე გამჭვირვალე არაა, ამიტომ ვარსკვლავი არ შეიძლება ჩანდეს, 8. ფუნიკულორზე მამადავითის ეკლესია მარცხნითაა დახატული, 9. კიბე კარზე მაღლაა დახატული, 10. ავტომობილი ქუჩის მარცხნით დგას, რაც წესის დარღვევაა, 11. ელექტროგაყვანილობა დამაგრებულია ხეზე, 12. ფანრის ბოძი შუა ქვაფენილზეა, 13. საწვიმარი მილიდან კვამლი ამოდის, 14. აივანი არაა სწორად დახატული, 15. ფანჯარა ყირამალაა, 16. საწვიმარი მილი ფანჯრიდანაა გამოყვანილი, 17. მეეზოვეს ერთ ფეხზე ჩექმა აცვია, მეორეზე ტუფლი, 18. შლანგი არაა შეერთებული წყალსადენთან.

სამხედრო გამოცანა (№ 12)

კროსვოკრდი (№ 12)

ვერტიკალურად

1. ამერიგო 3. ელბა, 4. პირი, 5. მალტა, 7. ოზონი, 9. მერიდიანი, 11. არგენტინა, 13. ონეგინი, 14. სიცილია, 15. ტემზა, 16. სიმგა, 21. აკაკი, 22. კრივი, 24. არა. 25. ტრიტონი, 26. ჩაი.

ჰორიზონტალურად

2. არენა, 6. ლალიონი, 8. ლამა, 10. იაგო, 12. პო, 14. სი, 17. ჰერცი, 18. ლიმღნადი, 19. ანატომია, 20. ნისლი, 23. არია, 26. ჩაფი, 27. არტისტი, 28. აზოტი.

გამოცანები (№ 12)

ავტომობილი, ტრაქტორი.

პასუხი

ჟურნალ „პიონერის“ №№ 10, 11 და 12-ში მოთავსებულ გასართობ გამოცანებზე გამოგზავნეს შემდეგმა პიონერ-მოსწავლეებმა:

გურამ ხიზანაშვილმა (თბილისი), ცისანა ტოროშელიძემ (თბილისი), ლატავრა გომართელმა (თბილისი), ცისანა ჩილაჩავამ (ქარელი), გაიოზ ერაძემ (თბილისი), ჰამლეტ ჯავახიამ (თბილისი), მედეა ქარცივაძემ (მაიაკოვსკი), თინა თავბერიძემ (ახალი აბაშა), ლილი კაჭარავამ (აბაშა), ნოდარ ფირანიშვილმა (თბილისი), გურამ ლომაძემ (თბილისი), ეუჟუნა ნატროშვილმა (მაიაკოვსკი), მაყვალა გოგუაძემ (მახარაძე), ციალა გოჩელაშვილმა (ტყიბული), ლაურა ერიაშვილმა (სიღნაღი), ზვიად კოვზირიძემ (მანგლისი), თეიმურაზ კვიკინაძემ (ზესტაფონი), ლია ლორიამ (საჯავახო), თენგიზ ლებანიძემ (ონი), ნინო მკერვალიშვილმა (ქუთაისი), დ. იმედაძემ (ამბროლაური), ნუნუ შავგულიძემ (თბილისი), ლეილა შანიძემ (ჭიათურა), მერი გორდაძემ (ქობულეთი), რ. ხუჯაძემ (ხაშური), რაულ წერეთელმა (თბილისი), გილდარო ელამიძემ (მეჯვრისხევი), სიმონ თუთბერიძემ (ზესტაფონი), მიხეილ ბანდალოვმა (თბილისი), დალილა რუბაშვილმა (დუშეთი), ლეილა ბიწაძემ (ჭიათურა), ლაურა კახიძემ (მაიაკოვსკი), ქ. ფირფილაშვილმა (მაიაკოვსკი), ნანა აბუაშვილმა (გორი), მამია ნაცვლიშვილმა (აბაშა), გოდერძი სეფერთელაძემ (სოფ. ასკანი), ცისანა ფურცელაძემ (მაიაკოვსკი), ციალა ბერიძემ (მაიაკოვსკი), გურამ ლელაძემ (ზესტაფონი), ლამარა იოსებაშვილმა (მაიაკოვსკი), რევაზ სიჭინავამ (ქუთაისი), დური გეგეშიძემ (მაიაკოვსკი), იური ბერაძემ (ხარაგოული), ნაზი საფარიძემ (ლანჩხუთი).

ფანი 5 ფან.

9/435
4382